ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 23 ნოემბერი, 2021 | №221 (8750) | ფასი: 60 თეთრი

## „დასაქმებულებს სოციალური დახმარება არ მოეხსნებათ“

გვ.2



ირაკლი ღარიბაშვილი: „ონლაინკაზინოებს ჯერ შევზღუდავთ, შემდეგ კი საერთოდ ავკრძალავთ“

# „ევროპაში ვერ ნახავთ კაზინოების ისეთ ბუმს, როგორიც საქართველოშია“



გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „ქვეყანა, რომელიც ადამიანის ქვენაგრძნობებზე აგებს თუნდაც შემოსავლების პოლიტიკას, მიმზიდველად არ გამოიყურება“



## „ვადამდელი არჩევნები აუცილებლად დაინიშნება“



გვ.3



ლევან სამუშია: „საქართველოს მოქალაქეები არ დაუშვებენ, რომ საბოლოოდ რუსეთისკენ წავიდეთ“

## „აქციები არ უნდა შეჩერდეს, რადგან ისინი მაინც ამოხეთქავს“

გიორგი ვაშაძე: „საქართველო დასავლელი პარტნიორებისთვის პერმანენტული თავისტკივილი გახდა, რადგან სულ პოლიტიკური კრიზისია“



გვ.2



გვ.4

## რომან გოცირიძე: „თუ ონლაინ დაიხურება, ცოცხალ კაზინოებში ითამაშებენ“



გვ.5

## 3 მილიონი ლარის ყალბი ანგარიშფაქტურების შექმნისთვის 1 პირი დააკავეს

## პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში იარაღი ამოიღო

დაკავებულია 13 პირი



გვ.5

## ქალი შვილის ნაჩუქარმა ბილეთმა გაამდიდრა

გვ.6

## „სააკაშვილი კიდევ ბევრ მიმართვას გააგზავნის“

გიგა ბუკია: „სანამ სააკაშვილი ციხეში იქნება, მისი მომხრეებისთვის აქციების შეწყვეტა კაპიტულაციის ნიშანია“



გვ.4

ISSN 1987-9385

4 გახარიას პარტია საკრებულოებში თავმჯდომარეების პოსტებს ითხოვს

3 1-ლი დეკემბრიდან კოვიდპასპორტის არმქონე პირის სხვადასხვა ობიექტში შესვლის გამო ჯარიმა არა მოქალაქეს, არამედ ბიზნესსუბიექტს დაეკისრება

4 სებასტიან მოლინეუსი: „ძალიან მიხარია, რომ საქართველოში ბევრ ძალიან მნიშვნელოვან რეფორმას ვხედავ“

6 ავსტრიაში სრული ლოქდაუნი ამოქმედდა

# „აქციები არ უნდა შეჩერდეს, რადგან ისინი მაინც ამოხეთქავს“

## გიორგი ვაშაძე: „საქართველო დასავლელი პარტნიორებისთვის პერმანენტული თავისტკივილი გახდა, რადგან სულ პოლიტიკური კრიზისია“

იაგო ნაცვლიშვილი

**რატომ თვლის, რომ ქართული პოლიტიკა გადასახედია? როგორ უნდა მოხდეს დეესკალაცია? რაზე აპირებს კოლეგა ოპოზიციონერებთან საუბარს და რა შეფასებას გააკეთებს ბიძინა ივანიშვილის ჩვენებაზე, სადაც ის ამბობს, რომ მისთვის ღარიბაშვილი ავტორიტეტი არ არის? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „მესამე ძალა — სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე საუბრობს.**

***– ქვეყანაში მძიმე კრიზისი შეიქმნა სააკაშვილის თემის გამო, საბოლოოდ კი ის გადაიყვანეს სამოქალაქო ჰოსპიტალში. თქვენი შეფასებით, გადაიდგა ნაბიჯი, რომელიც პოლიტიკურ კრიზისს განმუხტავს ქვეყანაში თუ მას დროებითი ეფექტი ექნება?***

– ჯერჯერობით რაც შეიძლება ითქვას, ის არის, რომ ეს არის დროებითი დეესკალაცია, სიტუაციის მცირედი განმუხტვა. მე სოციალურ ქსელშიც დავწერე, რომ ყინული დაიძრა, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ის სტატუსკვო, რომელიც არის, სტაბილურობის გარანტი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება. ესეც ფაქტია და საერთოდ ვფიქრობ, ბოლო სამი წელი გვიჩვენებს ქვეყანაში, რომ ფაქტობრივად სამწლიან პერმანენტულ კრიზისში ვიმყოფებით და უფრო ფუნდამენტური გადახედვაა საჭირო იმ ახალი პროცესის, რომელიც სტაბილურობას მოიტანს, იმიტომ, რომ ძალიან მძიმე ვითარებაში იმყოფება საქართველო ეკონომიკურად, სოციალურად თუ სხვა სფეროში.

***– ვისი მხრიდან უნდა მოხდეს გადახედვა?***

– პირდაპირ გეტყვით, რომ ეს ბერკეტები ხელისუფლებას აქვს. მხოლოდ საქართველოში არა, ყველგან ასეა, რომ ოპოზიციამ რაც არ უნდა ილაპარაკოს და რა წინადადებითაც არ უნდა გამოვიდეს, ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ამის სურვილი, რომ დაასტაბილუროს ვითარება და რაღაცა ადამიანური გარემო იყოს, იმიტომ, რომ ყველა დაიღალა, 3 წელია, სტრესული გარემოა, არაფერი არ იცვლება, ხელისუფლების მხრიდან მუდმივად ხდება ჯინიანობა, ტყუილი, გადაგდება და თეთრზე შავის მტკიცება.



ვფიქრობ, მათ უნდა იფიქრონ ამ საკითხზე. მე ჩემი მხრიდან მზად ვარ, ყველას მოვუსმინო, თუ ვინმეს რამე ხედვა აქვს ამ საკითხზე. ჩვენ ჩვენი ხედვა დაახლოებით 2 კვირის წინ გამოვაქვეყნეთ, თუ რა საკითხები შეიძლება გახდეს მსჯელობის საგანი. ვფიქრობ, დიდი ნაბიჯი თუ არ გადავდგით წინ, თანხმობისკენ და შერიგებისკენ თუ უფრო მეტი კონსოლიდაციისკენ, ქვეყანა წინ ვერ წავა. წლები გადის და უკან მივდივართ.

***– კი, მაგრამ ოპოზიცია წავა ამ კონსოლიდაციაზე ამ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლებამ ბევრჯერ გადააგდო და დაპირება არ შეასრულა?***

– მე ხომ არ ვსაუბრობ ტიპურ მოლაპარაკებასა და შეთანხმებაზე. გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ჩვენ გეგმაში გვქონდა, რომ პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა სამოქალაქო საავადმყოფოში, რომ დაძრულიყო რაღაც პროცესი და ეს მოხდა. შიმშილობა შეწყვიტა ამდენმა ადამიანმა, ვინც შიმშილობდა. არის რაღაც შესაძლებლობა, რომ კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგას. ჩემი და ჩვენი გუნდის ხედვა რაც არის, ჩვენ ეს დავწერეთ კიდეც ჩვენს გამოქვეყნებულ გეგმაში, როგორ ვუყურებთ ამას. ყველამ უნდა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. ასე გაგრძელება რომ შეუძლებელია, ამაზე ხომ ვთანხმდებით?! ამ დასკვნამდე პირველ რიგში „ქართული ოცნება“ უნდა მივიდეს.

***– ჩვენ ვთანხმდებით, მაგრამ საზოგადოების ნაწილი თანხმდება ამაზე, რომელიც ძალიან პოლარიზებულია.***

– ეს პოლარიზება ხომ პოლიტიკიდან მომდინარეობს. თუ პოლიტიკური სპექტრი თანხმდება, საზოგადოებაშიც გამოიძებნება ეს თანხმობა. ეს პარალელური პროცესია. თანხმობა და რაღაცის განვითარება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ხალხის გარეშე უნდა მოხდეს ეს. არა, ეს მათთან კონსულტაციითა და დისკუსიის რეჟიმით უნდა მოხდეს ეს. მე ერთ რამეს ვგრძნობ, პოლარიზებაზე მეტად იმას ვგრძნობ, რომ ყველას ყელში ამოუვიდა ეს ვითარება. ერთი ფლანგია, მეორეა, მესამეა... ამას მნიშვნელობა არ აქვს, დაღლილობაა და დეპრესია იმ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც ქვეყანაშია და ეს იგრძნობა საზოგადოებაში.

***– ამ თემებზე თუ გქონიათ საუბარი კოლეგა ოპოზიციონერებთან და თუ არის მათგან მზაობა იმაზე, რაზეც საუბრობთ?***

– ზოგადად, საუბარი გვქონია, მაგრამ ამ დღეებში ვაპირებ, შევეხმიანო ბევრს და დაველაპარაკო, თუ რა ნაბიჯი შეიძლება გადავდგათ იმისთვის, რომ სიტუაციის დეესკალაცია მოხდეს. კიდევ ერთხელ ვამბობ, აქ ახლა ტიპურ მოლაპარაკებებს არ ვგულისხმობ, პირდაპირ რომ გითხრათ. ასე რომ, ძალიან რთულია. მოლაპარაკებების ახალი პროცესი რომ დავიწყოთ, ამაში დიდ აზრს ვერ ვხედავ. ამიტომ უნდა მოვიფიქროთ, რა ნაბიჯები შეიძლება იყოს გადადგმული იმისთვის, რომ სიტუაციის დეესკალაცია მოხდეს ქვეყანაში.

***– აქციები, რომლებსაც ოპოზიცია ისევ მართავს, უნდა შეჩერდეს?***

– არა, აქციას ხომ აქამდე სხვა დატვირთვა ჰქონდა, რადგან სააკაშვილის ჯანმრთელობის კუთხით კრიტიკული ვითარება იყო. აქციებს ვერ შეაჩერებ. რომც გაჩერდეს ეს აქციები, არასწორი მგონია, იმიტომ, რომ „ოცნება“ ჩათვლის, დამთავრდა ყველაფერი და მშვიდობით, წყნარადაა ვითარებაო. ეს აქციები რომ გაჩერდეს, ის აუცილებლად ამოხეთქავს ამა თუ იმ მიზეზით. ამიტომ საქმის დროებითი მიყრუება ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიგვიყვანს შედეგამდე.

***– გავრცელდა ბიძინა ივანიშვილის ჩვენება, სადაც ის ღარიბაშვილზე ამბობს, რომ მისთვის ავტორიტეტი არ არის. როგორ გაიგეთ მისი ეს განცხადება?***

– მე ვფიქრობ, ეს დამოკიდებულების საკითხია. ჩვენ არასდროს გვქონია ილუზია, რომ რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ივანიშვილს თავის გარემოცვასთან.

***– თუმცა ღარიბაშვილი სხვა დონეზე იმყოფებოდა მის გარემოცვაში.***

– სხვა დონეზე რატომ იმყოფებოდა?! მისი ბიზნესის მმართველი კი არ იყო. მისი დამხმარე იყო საორგანიზაციო საკითხებში. თვითონ ივანიშვილმა თქვა, რომ კონტაქტპერსონა იყო გარკვეულწილად სამთავრობო უწყებებთან მიმართებითაც. განსაკუთრებულს რატომ ველოდით, არ მესმის.

***– რა კითხვა ჩნდება, იცით? თავის ბიზნესში არ ენდობა, ავტორიტეტად არ მიიჩნევს და მას ქვეყნის პრემიერ-მინისტრად ნიშნავს. რა დამოკიდებულებაა ეს?***

– ჩვენ რა წარმოდგენა გვაქვს? ივანიშვილი კვალიფიკაციის, პატრიოტიზმისა და რაღაცა თვისებებით არჩევს კადრებს? შეხედეთ „ქართული ოცნების“ გუნდს, ვის რა გაუკეთებია ცხოვრებაში?!

***– კი, მაგრამ აქ ხომ სახელმწიფოზე ვსაუბრობთ და ასე უნდა ხდებოდეს და არა ის, რაც გვაქვს.***

– მისი დამოკიდებულებაა სახელმწიფოსთან მიმართებით და ეს ჩანს მის სამწლიან პერმანენტულ კრიზისში, ოღონდ თავიანთი გაისწორონ და ქვეყნის ინტერესები უკან არის გადაწეული. ქვეყნის შიგნით იქნება თუ საგარეო ფრონტზე, ყველაფერი მოშლილია. საქართველო, რომელიც არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მთელ მსოფლიოში რეფორმების მაგალითად ითვლებოდა, ფაქტობრივად ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის გახდა პერმანენტული თავისტკივილი, რადგან ვერა და ვერ დაიძლია პოლიტიკური კრიზისი. უკაცრავად, შეთანხმებაზე ხელის მოწერა და მერე გადაგდება რა სტანდარტია?! ეს არ არის მიღებული საერთაშორისო ასპარეზზე. ამიტომ, რომ გითხრათ, აქედან გამომდინარე რაღაც განსაკუთრებული ემოცია დამეუფლა-მეთქი, ასე არ არის. ეს არის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ.

# „დასაქმებულებს სოციალური დახმარება არ მოეხსნებათ“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ონლაინკაზინოებს ჯერ შევზღუდავთ, შემდეგ კი საერთოდ ავკრძალავთ“

გუშინ, 22 ნოემბერს, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის სხდომაზე სამი ახალი ინიციატივით გამოვიდა.

მისი განცხადებით, მთავრობის მიზანია, შრომისუნარიანი ადამიანი იყოს დასაქმებული. თუ ოჯახს ეძლევა სოციალური დახმარება, დასაქმების შემთხვევაში მას არ მოეხსნება დახმარება, პირიქით, ეს უნდა იყოს სტიმული, რომ თითოეულ ოჯახს გაეზარდოს შემოსავალი.

დღეის მდგომარეობით, დაახლოებით 600.000 სოციალურად დაუცველი მოქალაქეა. აქედან დაახლოებით ნახევარი შრომისუნარიანი მოქალაქეა, რომლებიც არსებული სოციალური პოლიტიკის გამო სამუშაო ადგილების მოსაძებნად არ არიან მოტივირებული.

– არსებული სოციალური პოლიტიკა გვაჩვენებს, რომ მიმდინარე დინამიკა, ტენდენციები ზოგადად არის შემაშფოთებელი. ჩვენ რეალურად არსებული სოციალური პოლიტიკის ფარგლებში ზრდასრული, შრომისუნარიანი მოსახლეობა, ჩვენი მოქალაქეები შევაჩვიეთ, შევაგუეთ უმუშევრობას, სიღარიბეს და უმოქმედობას. რეალურად, დღეს შრომისუნარიანი, სოციალურად დაუცველი მოქალაქე არ არის მოტივირებული, რომ დაიწყოს ახალი სამუშაო ადგილი იმის შიშით, რომ შემდეგ მას სახელმწიფომ სოციალური დახმარება არ მოუხსნას, არ არის მოტივირებული, რომ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები გაიუმჯობესოს და ეს კატასტროფაა. ჩვენ უნდა გადავდგათ გაბედული და ქმედითი ნაბიჯები.

ამ მიზნით, მე უკვე მქონდა საუბარი მთავრობის წევრებთან, ეკონომიკურ გუნდთან, მაქვს იდეა და ინიციატივა, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უხელმძღვანელებს ვიცე-პრემიერი ლევან დავითაშვილი და ჩვენ უახლოეს რამდენიმე კვირაში წარმოგიდგენთ ახალ სოციალურ ხედვას, პოლიტიკას, თუ როგორ უნდა შევცვალოთ არსებული, მე ვიტყოდი მანკიერი სისტემა ახალი, გაჯანსაღებული სისტემით, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი პროგრამა.

ეს იქნება საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების პროგრამა და ჩვენ ნაცვლად სოციალური დახმარებისა, ჩვენს მოქალაქეებს, შრომისუნარიან მოქალაქეებს უნდა შევთავაზოთ სამუშაო ადგილები. ასეთი საზოგადოებრივი სამუშაო ადგილები ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ათასობით და ათიათასობით თითოეული ქალაქისთვის, მუნიციპალიტეტისთვის, – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, ადამიანი თუ შეიძენს ტელევიზორს ან მაცივარს, ქულები აკლდება და უწყდება სოციალური დახმარება. ან თუ სეზონური სამუშაოებია ბაზარზე ხელმისაწვდომი, ისინი არ არიან დაინტერესებული, რომ სხვა საქმითაც დასაქმდნენ და მეტი დამატებითი შემოსავალი მიიღონ.

– ამიტომ, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი მოქნილი სისტემა, რომლის შედეგადაც ერთის მხრივ, მინიმუმ ის დახმარება, რაც დღეს მათ ეძლევათ, ხელფასის სახით მიიღონ, ოღონდ კონკრეტული საზოგადოებრივი საქმიანობისთვის და ამას გარდა, სხვა დამატებითი, ამის ზევიდან, რაც მათ შეუძლიათ, რომ მოიძიონ, დაიწყონ ახალი სამუშაო დამატებით, მათ უნდა ჰქონდეთ ამის თავისუფლება. ორი-სამი სამუშაო ადგილი შეუძლიათ, რომ პარალელურად იშოვონ და მეტი შემოსავალი შეიტანონ საკუთარ ოჯახებში.



მოსახლეობას, ჩვენს შრომისუნარიან მოქალაქეებს გავუჩენთ განცდას, პერსპექტივას, მოტივაციას, რომ რეალური საქმით დასაქმდნენ. ჩვენი მოქალაქეები შრომას უნდა მივაჩვიოთ. რა თქმა უნდა, ყველას სურს სამუშაო ადგილების შოვნა, მაგრამ თუ სახელმწიფო პირობებს არ უქმნის, ეს დამაბრკოლებელი ბარიერია.

ამ პროგრამის ფარგლებში ჩვენ ჩავრთავთ პროფესიულ სასწავლებლებს, უამრავ სპეციალობაში მოხდება მათი გადამზადება, შეიძლება, ერთობლივად შევიმუშაოთ რამდენიმეკვირიანი პროგრამები. ჩვენ ამაზე საუბარი გვქონდა და რეალურად შევცვლით ამ სტატიკურ, გაყინულ მდგომარეობას, –აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ფსიქოტროპული მედიკამენტების გაყიდვაზეც ისაუბრა.

– ამას უკავშირდება ნარკომანია და ჩვენი ახალგაზრდების ჩართულობა ამ მეტად დამღუპველ მოძრაობაში. საკმაოდ ლიბერალური გახდა კანონმდებლობა ნარკომანიის მიმართულებით და ჩვენი ახალგაზრდები, ნაცვლად იმისა, რომ დაკავდნენ სპორტით, ისწავლონ, იმუშაონ, არიან დაკავებულები მავნე ნივთიერებების მოხმარებით. ამიტომ უნდა გამკაცრდეს, მათ შორის, ფსიქოტროპული მედიკამენტების გაყიდვაც. ამის თაობაზე გვექნება საუბარი მთავრობის სხდომაზე და მე პირადად გავაკონტროლებ აღსრულების პროცესს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მან დიდი ყურადღება დაუთმო ონლაინკაზინოების თემას.

– მილიარდ 500 მილიონი ლარი გაედინება ქვეყნიდან ონლაინკაზინოების მეშვეობით. ჩვენი მოქალაქეები, ახალგაზრდები, ყოველდღე თამაშობენ ონლაინკაზინოში და აგებენ ფულს. ეს თანხა შეადგენს მილიარდ 500 მილიონ ლარს.

ამის თაობაზე მქონდა საუბარი ჩვენ ეკონომიკურ გუნდთან და ვფიქრობთ, რომ პირველ ეტაპზე ფინანსთა მინისტრი წარადგენს საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც გულისხმობს გადასახადების გაზრდას ონლაინკაზინოების მფლობელებისთვის და მათგან აბსოლუტური უმრავლესობა არის უცხოური კომპანიები.

საუბედუროდ, ჩვენი მოქალაქეების ფული უცხოეთში გაედინება. ეს არის მილიარდ 500 მილიონი ლარი და აქედან 99% პროცენტი არის გაჭირვებული მოსახლეობის, ვინც არ მუშაობს. ვფიქრობთ, გავზარდოთ გადასახადები, აიკრძალოს რეკლამა, ასევე 25 წლამდე ავწიოთ ბარიერი, მეორე ეტაპზე საერთოდ უნდა აიკრძალოს ონლაინ კაზინოები, მზად ვარ, ამის თაობაზე ღიად ვისაუბრო. პარლამენტთან აქტიურად ვიმუშავებთ, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვადამდელი არჩევნები აუცილებლად დაინიშნება"

## ლევან სამუშია: „საქართველოს მოქალაქეები არ დაუშვებენ, რომ საბოლოოდ რუსეთისკენ წავიდეთ"

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის" კითხვებს ლევან სამუშია პასუხობს.**

***— ლევან, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პროცესებს? დიდი პროტესტებისა და მოთხოვნების შემდეგ სააკაშვილი გასული კვირის ბოლოს გორის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, თუმცა ნაცმოძრაობა ახლა მის გათავისუფლებას ითხოვს. რა პოზიციები აქვს „ლელოს" და როგორია თქვენი შეფასებები?***

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ რაც ამ ბოლო ხანებში ხდებოდა შიმშილობასთან დაკავშირებით და შემდგომ ხელისუფლების პოზიცია, ეს იყო წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან გათანაბრებული. მინდა, თქვენი მეშვეობით მადლობა გადავუხადო სახალხო დამცველს, რომელიც იყო მოწოდების სიმაღლეზე, რაც დღეს, ამ სიტუაციაში არ არის მარტივი. ერთადერთი ინსტიტუტი და ინსტიტუცია, რომელიც შეუნარჩუნა ამ ქვეყანას, ეს არის სწორედ სახალხო დამცველის. ასევე საერთაშორისო საზოგადოებასაც დიდი როლი აქვს ამ ყველაფერში. აქ მარტო ერთ ადამიანზე არ არის საუბარი. აქ საუბარია ქვეყნის დემოკრატიისკენ სვლაზე, რასაც ყველანაირად აფერხებს „ქართული ოცნება".

***— „ლელოს" მოთხოვნებზე რას იტყვით?***

— რაც შეეხება „ლელოს" მოთხოვნებს, „ლელოს" მოთხოვნა ყოველთვის იყო, არის და იქნება ადეკვატური მკურნალობა და სამართლიანი სასამართლოს უფლება. როდესაც არ გვაქვს სამართლიანი სასამართლო და ამას ვინ ჩივის, როდესაც უსამართლო სასამართლო პროცესზეც არ მიჰყავთ, ეს, ბუნებრივია, წარმოუდგენელი უფლების დარღვევაა. სიმართლე გითხრათ, მრავალწლიან საადვოკატო პრაქტიკაში მსგავსი რამ არ შემხვედრია, არც გამიგონია, არც მინახავს მსგავსი.

***— არგადაყვანის მოტივად უსაფრთხოების ზომებს ასახელებენ და ეს რამდენად მყარი არგუმენტია?***

— ეს უკვე ყურით მოთრეული თემაა. ამას ზღაპარიც არ ჰქვია. გვეუბნებიან, ა პუნქტიდან ბე პუნქტამდე ერთი ადამიანის ტრანსპორტირება არ შეგვიძლია, მისი ეტაპირების შესაძლებლობა არა გვაქვსო და ეს ადამიანები დაგვიცავენ 30 კილომეტრში მდგარი ოკუპანტი ძალისგან?! წარმოუდგენელი რამ არის, როგორ შეიძლება ამაზე საერთოდ სერიოზულად საუბარი. აქედან გამომდინარე, „ლელოს" მოთხოვნა იყო, არის და იქნება სამართლიანი სასამართლოს არსებობა ქვეყანაში. დღეს საქართველოში არ არსებობს სამართლიანი სასამართლო. სასამართლო დამოკიდებულია თავიდან ბოლომდე პოლიტიკურ გავლენებსა და ერთი ადამიანის ნება-სურვილებზე.

***— პარტია „ლელო" აცხადებს, რომ ბოიკოტს წყვეტს და პარლამენტში შედის. გაქვთ იმის იმედი, რომ პარლამენტიდან დაათმობინებთ რამეს „ოცნებას"? რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?***

— არათუ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, არამედ თავიდანვე გვქონდა პოზიცია გაცხადებული, რადგან მესამე პრეზიდენტს მკურნალობის საშუალებას არ აძლევდნენ, სწორედ აქედან გამომდინარე აირჩია „ლელომ" საპარლამენტო ბოიკოტის თემა, რომ სანამ პრეზიდენტი არ იქნება გადაყვანილი და სანამ მას არ მიეცემოდა შესაბამისი და ადეკვატური მკურნალობის საშუალება, ვიქნებოდით ბოიკოტის რეჟიმში და ეს პირობა შევასრულეთ.

***— ახლა, ამ ეტაპზე რამდენად იქნება ოპოზიცია ერთიანი? ნაციონალური მოძრაობა მის გათავისუფლებას ითხოვს, ნაწილი — მკურნალობამდე და რეაბილიტაციამდე სასჯელის გადავადებას. ნაცმოძრაობა ისევ ბოიკოტის რეჟიმში რჩება. რას იზამთ თქვენ?***

— ჩვენ ყოველთვის ვართ კონსტრუქციულები, ვართ მომხრე იმისა, რომ შეჯერებული, გარკვეული სტრატეგიული და მნიშვნელოვანი პოზიციები იყოს ერთიანი. სხვები რას აპირებენ, არ ვიცი, მაგრამ ჩვენ გვაქვს მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთობა დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებთან. ქვეყანაში შექმნილი



სიტუაციიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობაში ყველა ოპოზიციური ძალა, რასაკვირველია, ვთანხმდებით. ამ ქვეყანაში თუ გვინდა, ერთხელ და სამუდამოდ რაიმე გამოსწორდეს და გამოსწორების გზაზე დავდგეთ, ეს არის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და იმ სისტემების დეპოლიტიზაცია, რომლებიც დამოუკიდებელი უნდა იყოს და არ არის. ეს არის სასამართლო, საგამოძიებო, პროკურატურა და სხვა სისტემები. აქედან გამომდინარე, „ლელო" მხოლოდ ერთ რამეში ხედავს გამოსავალს ამ ჩიხური სიტუაციიდან. ეს არის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. გამოსავალს ყველა ამაში ხედავს. ხომ ხედავთ, როგორ მიითვისეს არჩევნები და წარმოუდგენელი მასშტაბის სიყალბეები ატარეს ამ ადამიანებმა.

***— ანუ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნაში ერთიანები არ იქნებით?***

— გათავისუფლების მოთხოვნაში რა იგულისხმება?!

***— ნაციონალები მიიჩნევენ, რომ ის უდანაშაულოა და უსამართლოდ ზის ციხეში. აი, ამას ვგულისხმობ. შეუერთდებით ამ მოთხოვნას?***

— აქ არის სამართლებრივი მექანიზმები. მე შემიძლია, გითხრათ ისიც, რომ საკმაოდ მწირი სამართლებრივი მექანიზმებია დარჩენილი. აქედან გამომდინარე, ჩვენ რეალურად ვუყურებთ ყველაფერს და რეალურები უნდა ვიყოთ მოთხოვნაშიც. მის გათავისუფლებაზე არავის უსაუბრია. რაც შეეხება რეაბილიტაციამდე სასჯელის გადავადებას, ეს არის სამართლებრივი პროცედურა. მსგავსი რამ არაერთი მომხდარა და ყოფილა. თუმცა, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ეს მთლიანად პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. აქედან გამომდინარე, ვნახოთ, რას იზამს სასამართლო.

***— პოლიტიკურიო, ანუ „ოცნებამ" უნდა მიიღოს ეს გადაწყვეტილება?***

— ვინმეს სჯერა, რომ დღეს სასამართლო დამოუკიდებლად იღებს რამე გადაწყვეტილებას? ვნახოთ, რა და როგორ იქნება, როგორ განვითარდება მოვლენები, გადაუვადებენ სასჯელს თუ გაათავისუფლებენ. ამ ყველაფრის გასაღები საბოლოოდ არის სამართლიანი სასამართლო, რომელიც არც გვქონია, არც გვაქვს და, იმედია, მომავალში მაინც გვექნება.

***— ხედავთ იმის შანს, რომ უახლოეს მომავალში ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს?***

— შეიძლება, ბევრი სკეპტიკურად იყოს განწყობილი, მაგრამ მე რატომღაც მგონია, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნება. რა თქმა უნდა, ეს მარტივად არ მოხდება, თუ არ იქნა კონსტიტუციურ ფორმებში მშვიდი, შეურიგებელი პროტესტი ამ უსამართლობისა და უკანონობის მიმართ. მე ვფიქრობ, ვადამდელი არჩევნები აუცილებლად იქნება ჩვენს ქვეყანაში. ხომ ვხედავთ, ვინ მართავს დღეს ქვეყანას. დღეს ქვეყანას ჰყავს ღიად პრორუსული ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დასავლეთს დაგვაშოროს და წაგვიყვანოს რუსეთისკენ. ეს ხელისუფლება შესაცვლელია და ძალიან მალე უნდა შეიცვალოს. დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოქალაქეები არ დაუშვებენ იმას, რომ საბოლოოდ რუსეთისკენ წავიდეთ.

# „ევროპაში ვერ ნახავთ კაზინოების ისეთ ბუმს, როგორიც საქართველოშია"

## რამაზ საყვარელიძე: „ქვეყანა, რომელიც ადამიანის ქვენაგრძნობებზე აგებს თუნდაც შემოსავლების პოლიტიკას, მიმზიდველად არ გამოიყურება"

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***— ბატონო რამაზ, პრემიერმა ღარიბაშვილმა ონლაინკაზინოების აკრძალვაზე, სოციალურ პოლიტიკაზე ისაუბრა. რით ხსნით ცხრა წლის თავზე მნიშვნელოვან საკითხებზე აქცენტს?***

— ირაკლი ღარიბაშვილი ადრე დააყენებდა თუ არა ამ საკითხებს, ვერ გეტყვით. შეიძლება, ამ პრობლემების მიმართ ის მგრძნობიარე იყო, როგორც პიროვნება, მაგრამ მხოლოდ ახლა მიეცა შესაძლებლობა, პრობლემა წამოეწია და მისი მოგვარების გზებზე ემსჯელა.

კაზინოების ქვეყანა რომ არ უნდა იყო, ეს ცალსახაა. თუ ევროპის მაგალითზე ვიტყვი, ევროპაში ვერ ნახავთ კაზინოების ისეთ ბუმს, როგორიც საქართველოშია.

***— თავის დროზე ოპოზიციას, ლევან გოგიჩაიშვილს, ანა დოლიძეს, კაზინოებზე არაერთი გამოსვლა ჰქონიათ.***

— დიახ, ამიტომ ვამბობ, რომ ეს პრობლემა გადასაჭრელი იყო ეს სადავო არ არის. თუმცა, ცხადია, ამ პრობლემის გადაჭრას გარკვეული რესურსი სჭირდება. აკრძალვას რაღაც გზის გავლა უნდა. ისე უნდა მიხვიდე გადაწყვეტილებამდე, რომ არც მწვადი დაიწვას და არც შამფური.

***— ცხადია, ბიუჯეტში გარკვეული შემოსავალი მას მოაქვს, მაგრამ — რის ფასად?***

— დიახ, ამიტომ ვსაუბრობ ამაზე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქვეყნის იმიჯისთვისაც ზიანის მომტანია. ქვეყანა, რომელიც ადამიანის ქვენაგრძნობებზე აგებს თუნდაც შემოსავლების პოლიტიკას, არ გამოიყურება მაინცდამაინც მიმზიდველად. ამიტომ გადაწყვეტილება, რომელზეც ღარიბაშვილმა ისაუბრა, ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია მრავალი ასპექტის გათვალისწინებით. შეიძლება, ადრე არ იყო მოფიქრებული, როგორ გადაჭრილიყო ეს პრობლემა ისე, რომ ბიუჯეტიც არ დაზარალებულიყო და მხოლოდ ახლა გამოინახა გზები.

***— სხვა სოციალურ საკითხებზე, მაგალითად, დასაქმებაზეც არის საუბარი. გამორიცხავთ, რომ გარკვეული პოპულარობის, რეიტინგის ასაწევად დასჭირდათ ამ ნაბიჯის გადადგმა?***

— არა, არ გამოვრიცხავ. ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, მათ შორის „ქართული ოცნებაც" ეცდება, რომ ხალხისთვის სასიამოვნო, მისაზიდი ნაბიჯები გადადგას. დემოკრატია ამისთვისაც არის კარგი. ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ. თუმცა ასე უშუალოდ არ მივაბამდი პრემიერ ღარიბაშვილის ამ განცხადებებს რეიტინგის დაცემას. არც ის ვიცით, დაეცა კი „ოცნების" რეიტინგი? ამისთვის სოციოლოგიური კვლევაა საჭირო.

სოციოლოგიაში ერთი რამ უდავოდ ცნობილია: რეიტინგის დაცემის შემთხვევაში მისი კომპენსაცია იმავე თემით უნდა მოახდინო და არა სხვა საკითხით. ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა ნაციონალური მოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის საკითხი.

***— სწორედ ამიტომ გკითხეთ. ამის გადასაფარად ხომ არ ხდება ან კომპენსაციისთვის?***

— როგორც გითხარით, ვერ იქნება კომპენსაცია. სოციალური პოლიტიკა ამ პოლიტიკურ ასპექტს ვერ დააკომპენსირებს. სხვა მიმართულება სჭირდება ამისთვის ხელისუფლებას. დაუწერელი კანონივითაა პოლიტიკაში: მატერიალური კეთილდღეობა არ არის გადამწყვეტი. ხშირად ადამიანის სიმპათიას რომანტიზმი, მაღალი იდეალები განსაზღვრავს. ბევრ საკითხში ემოცია განმსაზღვრელია და ასეა პოლიტიკაშიც. ამდენად, ემოციების კომპენსაცია მატერიალურით არ გამოვა. ამიტომ სხვა რამის მოფიქრება მოუწევს ხელისუფლებას, თუმცა საკითხები, რომლებიც წამოჭრა, უდავოდ გადასაჭრელია და ეს ცალსახად იქნება დადებითი მონაპოვარი „ქართული ოცნებისთვის". ამაზე არც არის საუბარი.

***— თუ ხელისუფლება ცდილობს, სოციალური პოლიტიკით დაკავდეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოპოზიცია რამდენად ადეკვატური შეიძლება იყოს პროცესების მიმართ?***

— არ გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციის რაღაც ნაწილი დაუბრუნდეს საპარლამენტო ცხოვრებას. უკვე განაცხადა „ლელომ", რომ ის დაუბრუნდება საპარლამენტო მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ „ლელოს" მთავარი დამდები არ არის პარლამენტში, მამუკა ხაზარაძეს ვგულისხმობ, რომელმაც პარლამენტი დატოვა. თუმცა პარლამენტში დაბრუნებაც არ ნიშნავს კონსტრუქციულ მუშაობას. შეიძლება, დაბრუნდე იმისთვის, რომ ქუჩის სტილში წაიყვანო საპარლამენტო ცხოვრება.

# 1-ლი დეკემბრიდან კოვიდპასპორტის არმქონე პირის სხვადასხვა ობიექტში შესვლის გამო ჯარიმა არა მოქალაქეს, არამედ ბიზნესსუბიექტს დაეკისრება

1-ლი დეკემბრიდან კოვიდპასპორტის არმქონე პირის სხვადასხვა ობიექტში შესვლის შემთხვევაში ჯარიმა არა მოქალაქეს, არამედ ბიზნესსუბიექტს დაეკისრება.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შრომის ინსპექციის ხელმძღვანელმა ბექა ფერაძემ განუცხადა, კოვიდპასპორტის არმქონე პირის დაწესებულებაში შეშვების გამო ინდმეწარმე – 2000 ლარით, ხოლო იურიდიული პირი 10 ათასი ლარით დაჯარიმდება.

„დარღვევის აღმოჩენისას დაჯარიმდება მხოლოდ ობიექტი, ხოლო კოვიდპასპორტის არმქონე მოქალაქეს ასეთ შემთხვევაში ჯარიმა არ დაეკისრება.

შრომის ინსპექცია როგორც აქამდე აკონტროლებდა კოვიდრეგულაციების აღსრულებას, ასევე გააკონტროლებს ე.წ. მწვანე პასპორტების მოქმედების არეალებში დასაცავ წესებს. ეს იქნება გეგმური და არაგეგმური ინსპექტირებები და მოვახდენთ იდენტიფიცირებას, თუ რამდენად იცავს ობიექტი ე.წ. მწვანე პასპორტებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა აღმოვაჩინეთ, ეს იწვევს ფიზიკური პირის მიმართ 2000-ლარიან ჯარიმას, იურიდიული პირის მიმართ 10.000-ლარიან ჯარიმას, ხოლო თუ კომპანია სისტემატურად არღვევს და ამაზე გვაქვს ინფორმაცია, შესაძლოა, ეს დალუქვის და ასევე დროებით საქმიანობის შეჩერების საფუძველიც გახდეს. ეს რეგულაციები 1-ლი დეკემბრის შემდეგ შედის ძალაში. კომპანიამ არ უნდა შეუშვას და, თუ შეუშვებს, ეს უკვე კომპანიის პასუხისმგებლობაა. მხოლოდ კომპანია ჯარიმდება, მოქალაქე – არა.

შემოწმების ნაწილში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა უწყება იქნება ჩართული, იქნება ეს შს სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფები, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და ა.შ. ერთობლივად მოვახდენთ ზედამხედველობას", – განაცხადა ბექა ფერაძემ.

შეგახსენებთ, რომ 1-ლი დეკემბრიდან მოქალაქეები მხოლოდ „მწვანე პასპორტის" პრინციპით შეძლებენ შესვლას კვების ობიექტების, რესტორნების, კაფეებისა და ბარების ღია და დახურულ სივრცეებში, კინოთეატრებში, თეატრებში, ოპერაში, მუზეუმებში, საკონცერტო დარბაზებში, გასართობ ცენტრებში, სამორინეებსა და სათამაშო ბიზნესის ობიექტებზე, სპა-ცენტრებში, ფიტნეს-დარბაზებში, სასტუმროებში და ასევე სამთო კურორტების – საბაგირო გზებზე; აღნიშნული მოთხოვნა გავრცელდება ჩამოთვლილი ობიექტების სტუმრებზე.

რაც შეეხება საბავშვო-გასართობ ცენტრებს, „მწვანე პასპორტის" მოთხოვნა იმოქმედებს მხოლოდ 18 წლის ასაკს ზემოთ მოქალაქეებისთვის. პირს მწვანე სტატუსი აქვს, თუ იგი ვაქცინირებულია სრულად, ჩატარებული აქვს 72-საათიანი ვალიდურობის PCR-ტესტი ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენ-ტესტი, ან გადატანილი აქვს კორონავირუსი.

# „სააკაშვილი კიდევ ბევრ მიმართვას გააგზავნის“

## გიგა ბუკია: „სანამ სააკაშვილი ციხეში იქნება, მისი მომხრეებისთვის აქციების შეწყვეტა კაპიტულაციის ნიშანია“

მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ რეალობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს გიგა ბუკიას.**



***– როგორ აფასებთ ახლანდელ მდგომარეობას? შიმშილობის აქციები შეწყვეტილია, თუმცა ოპოზიცია მოითხოვს სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნებას. დროდადრო ისმის სლოგანი: „თავისუფლება მიშას“. თქვენი აზრით, აქციები განახლდება?***

– დავიწყებ მოქალაქეობის საკითხით. სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობა ძალით არავის ჩამოურთმევია. მან საკუთარი სურვილითა და ნებით თქვა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე და გადავიდა უკრაინაში. მაშინ ის ოდესის ოლქის ადმინისტრაციის უფროსი გახდა. ახლა არ ვიცი, როგორ გადაწყდება ეს საკითხი, რომელსაც იურიდიული და სხვა ასპექტები ახლავს. აქციებზეც მოგახსენებთ. აქციები, ალბათ, იქნება. ყოფილი პრეზიდენტი სულ გორის ჰოსპიტალში არ იწვება. ადრე თუ გვიან მას მოუწევს ციხის საკანში დაბრუნება. სანამ სააკაშვილი ციხეში იქნება, მისი მომხრეებისათვის აქციების საერთოდ შეწყვეტა კაპიტულაციისა და შესუსტების ნიშანია. სხვა საქმეა, მოახერხებენ თუ არა პერმანენტული და დიდი აქციების გამართვას. ახლა ხელისუფლებისთვის რთული დროა. ხელისუფლება ნამდვილად არ გრძნობს თავს კომფორტულად. „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო არჩევნებზე მიაღწია გამარჯვებას. ამაში წვლილი მიუძღვის სააკაშვილს. არჩევნების დროს მმართველი პარტიის, ასევე ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ იმუშავა სააკაშვილის ჩამოსვლამ საქართველოში. ახლა ის ციხეშია და ეს მოცემულობა დადგა.

***– მიხეილ სააკაშვილმა მიმართა გამოცემა „პოლიტიკოს“. „ოცნების“ ხელისუფლების მძაფრ კრიტიკას მან მოაყოლა მოწოდება, რომ პრეზიდენტმა ბაიდენმა გააუქმოს საქართველოს პრემიერის მიწვევა აშშ-ში. ეს სერიოზული გადაწყვეტილებაა?***

– რა მნიშვნელობა აქვს, სერიოზულია თუ არა. ამას სააკაშვილისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ის იყენებს აბსოლუტურად ყველა ხერხს, ყველა შესაძლებლობას, რათა თავის პიროვნებას სიმძიმე და წონა შესძინოს. ქვეყნების პირველი პირების ვიზიტები მოწოდებების შედეგად არ იგეგმება და არ იშლება. თუ რაიმე მოულოდნელი მიზეზით ეს ვიზიტი გადაიდო, მაშინ სააკაშვილი იტყვის, რომ ვიზიტი მან ჩაშალა. ეს არ იქნება სიმართლე, მაგრამ სააკაშვილი ყველა ღონეს ხმარობს, რომ ყურადღება მიიქციოს და მომხრეები დაარწმუნოს თავის ძლიერებაში. მას მოუწევს ციხის საკანში ყოფნა, რაც მისთვის ძნელი გადასატანია. ამიტომ სააკაშვილი კიდევ ბევრ მიმართვას გააგზავნის.

***– ბოლოდროინდელმა მოვლენებმა თუ იმოქმედა მის ამომრჩეველზე? ნაცმოძრაობისა და „ქართული ოცნების“ ამომრჩევლებში რაიმე ცვლილება ხომ არ მოხდებოდა?***

– ზუსტად რაიმეს თქმა რთულია. ბოლო დროს ემოციური მომენტი ბევრი იყო, მაგრამ უახლოეს თვეებში არ არის მოსალოდნელი არჩევნები და, თუ ადამიანების დამოკიდებულებაში რაიმე კორექტივი შევიდა, ეს ვერ აისახება ოფიციალურ შედეგზე. ახლა გვაქვს ასეთი მოცემულობა – ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს ბევრად მეტი ამომრჩეველი, ვიდრე გამპროტესტებელი. არიან ადამიანები, რომლებიც საარჩევნო უბანზე ხმას აძლევენ ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით არ გამოდიან ქუჩებში ამ პარტიის მიერ ორგანიზებულ აქციებზე. სააკაშვილის დასაცავად გამართული აქციები არ ყოფილა ისეთი მასშტაბური, რომ ქვეყანა შეზანზარებულიყო.

***– ზოგიერთი ოპოზიციონერი ლიდერი, რომელიც არ შედის ნაცმოძრაობის გარშემო გაერთიანებული პარტიების ახლანდელ ერთობაში (ნაცმოძრაობა, „ლელო“, „დროა“ და სხვები), აცხადებს, რომ დადგა „გაკრეფილების“ მოლაპარაკებისა და ერთად დგომის დრო. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ეს არის კეთილი სურვილი. ეს უნდა ბევრ პოლიტიკოსსაც და მოქალაქესაც, მაგრამ მთავარია, რა გამოდის. მესამე ცენტრის ჩამოყალიბების შანსი ჩნდება მაშინ, როცა რომელიმე პარტიას აქვს მეტი რეიტინგი, ანუ ხელისუფლებაში დომინირების საშუალება. ჩვენს მოცემულობაში ხელისუფლებაში მოსვლა შეუძლია ან „ქართულ ოცნებას“, ან ნაცმოძრაობას. არჩევნების წინ მესამე ძალის ჩანასახი იკვეთებოდა, მაგრამ მოხდა „შუას“ კიდევ ერთხელ გაკრეფა და ორპარტიულობის გამყარება. სააკაშვილის ჩამოსვლამ ამას ხელი შეუწყო. საბოლოოდ, მოგებული დარჩნენ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. რაც არ უნდა ილაპარაკონ ამ ძალებმა კოალიციის სიკარგეზე, ეს იქნება თვალთმაქცობა. არც „ოცნებასა“ და არც ნაცმოძრაობას კოალიცია არ უნდათ. მმართველ პარტიასაც სურს, თვითონ მართოს ქვეყანა და ნაცმოძრაობასაც. სააკაშვილის ციხეში ჯდომა „ოცნების“ თავისტკივილიცაა. ვნახოთ, როგორ გაართმევს თავს ხელისუფლება ამ ამოცანას.

***– კონსერვატიული მოძრაობის დაფუძნებას როგორ უყურებთ? თქვენც კონსერვატორები ხართ.***

– „ალტ ინფოს“ წამყვანებმა დააარსეს ამ სახელწოდების პარტია. ჩვენ, კონსერვატიული პარტიის ბირთვი, ეროვნული მოძრაობიდან მოვდივართ. იმ დროს ჩვენი მთავარი მიზანი იყო საქართველოს გათავისუფლება, პროდასავლური კურსის გატარება. როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ჩვენი ფასეულობების დაცვა და შენარჩუნება. სიტყვა „კონსერვატიული“ ურევია საქართველოში არსებული არაერთი პარტიის სახელწოდებაში. კონსერვატიზმი არის იდეოლოგია, რომელსაც საქართველოში რატომღაც უკავშირებენ საგარეო ორიენტაციას. პარტია სხვადასხვაა. ყველას თავისი გზა აქვს. ჩვენზე შემიძლია ვთქვა, რომ მშვიდი მოქმედებებისა და ფრთხილი ნაბიჯების მომხრენი ვართ. ყოველთვის ვერიდებით რადიკალურ დაპირისპირებებს. კონსერვატიზმი ნიშნავს სიმშვიდეს. რადიკალი ლიბერალები საქართველოში არასწორად აფასებენ კონსერვატიულ იდეოლოგიას. მათი აზრით, ეს არის პრორუსულობა. არადა, დასავლეთში კონსერვატიული იდეოლოგიის პარტიები ტრადიციულია. ასე ხდება დიდ ბრიტანეთში. აშშ-ის რესპუბლიკური პარტიაც ასეთია. არავის მოუვა თავში, მათ უწოდოს პუტინისტები და პრორუსები. სხვა პარტიებისას ვერ მოგახსენებთ. ჩვენ ტრადიციული კონსერვატორები ვართ და მიგვაჩნია, რომ ამ იდეოლოგიის მიმდევრობა არ ნიშნავს რუსეთუმეობას.

# სებასტიან მოლინეუსი: „ძალიან მიხარია, რომ საქართველოში ბევრ ძალიან მნიშვნელოვან რეფორმას ვხედავ“

ირაკლი ღარიბაშვილმა და სებასტიან მოლინეუსმა საქართველოსა და მსოფლიო ბანკის მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები და პანდემიის დროს მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერის საკითხები მიმოიხილეს.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მსოფლიო ბანკის მიერ გაწეულ მნიშვნელოვან დახმარებას. პრემიერ-მინისტრმა სებასტიან მოლინეუსს საქართველოს მთავრობასთან ეფექტური და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მსოფლიო ბანკის ჩართულობა დასაფასებელია. მისი თქმით, ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო ბანკმა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსებისთვის გამოყო ფინანსური სახსრები, რაც ჯამში 2,7 მლრდ აშშ დოლარს აღემატება, მსოფლიო ბანკის მიმდინარე პორტფელი კი 12 აქტიური საინვესტიციო პროექტისა და განვითარების პოლიტიკის ოპერაციებისგან შედგება, რომელთა საერთო ღირებულება 928 მილიონი აშშ დოლარია. საუბრისას აღინიშნა, რომ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერებაზე ორიენტირებულმა პროექტებმა ეკონომიკისა და ქართული ბიზნესის ეტაპობრივი აღდგენის პროცესს დიდი სტიმული მისცა. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოს მიზანია ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო და ლოგისტიკური ცენტრი გახდეს, ამიტომ რეგიონული განვითარების პროექტები მთავრობის დღის წესრიგში პრიორიტეტულია, ამ კუთხით კი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

„ძალიან სასიამოვნო იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა. საუბრისას მთავარი აქცენტი გაკეთდა ეკონომიკური რეფორმების პროგრამაზე. ძალიან მიხარია, რომ ბევრ, ძალიან მნიშვნელოვან რეფორმას ვხედავ საქართველოში მიმდინარესა თუ დაწყებულს. პირველი მათგანია ადამიანური კაპიტალის დღის წესრიგი, სადაც მსოფლიო ბანკი საქართველოს მთავრობასთან ერთად ამზადებს მსხვილ და ვიტყოდი – გარდამქმნელ სარეფორმო პროგრამას, რომელიც გააუმჯობესებს ჯანდაცვის სისტემაში არსებულ მდგომარეობას აქ განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მკურნალობასა და მედიკამენტებზე ჯიბიდან გადახდილი თანხები, რაც ქვეყნის ბევრ მოქალაქეს ძალიან ძვირი უჯდება. იგივე მოლოდინია საგანმანათლებლო სფეროში არსებულ ვითარებასთან მიმართებით. ვიმედოვნებთ, რომ პიზას (PISA) საერთაშორისო რეიტინგში ქვეყანა დაწინაურდება და ადრეული სასკოლოდან საუნივერსიტეტო დონემდე სწავლების ხარისხი გაუმჯობესდება. მესამე მიმართულებაა სოციალური დაცვის მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება, რათა დაიხვეწოს მიზნობრიობა და დახმარება ისეთმა ოჯახებმა მიიღონ, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს მას – თან ბავშვებიანმა ოჯახებმა. ეს არის ადამიანური კაპიტალის დღის წესრიგი. ჩვენი საუბრის პირველი მთავარი თემაც ეს გახლდათ. მეორე საკითხი იყო ახალ კორონავირუსზე რეაგირების ზომები, რათა მთავრობის მიერ განხორციელებული დადებითი ინიციატივები – მწვანე პასპორტები, ხანდაზმულებისთვის ფინანსური დანამატები – გაგრძელდეს და გაძლიერდეს მძლავრი საკომუნიკაციო და საინფორმაციო კამპანიის საშუალებით. ყოველივე ამის მიზანია მთელი ქვეყნის მოსახლეობის ვაქცინაცია. მესამე საკითხად განვიხილეთ ეკონომიკური



და სტრუქტურული რეფორმების დღის წესრიგი. რა რეფორმა უნდა განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკის პროდუქტიულობის გასაზრდელად, რათა შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი? კიდევ რა რეფორმაა საჭირო მდგრადი ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად? აქ საუბარი მაქვს კონკრეტულად კლიმატის დღის წესრიგზე. და ბოლოს, რა არის საჭირო ძლიერი, კონკურენტუნარიანი და ციფრული ეკონომიკის უზრუნველსაყოფად საქართველოში?

ბოლო, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, რაც განვიხილეთ ეხებოდა ლოგისტიკას. როდესაც საუბარია რეგიონულ დაკავშირებადობასა და ინტეგრაციაზე, საქართველო ძლიერი ლიდერის როლს თამაშობს არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ასევე გლობალურად, რადგან ასეთი გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია აქ, ამ რეგიონში“, – განაცხადა სებასტიან მოლინეუსმა.

# გახარიას პარტია საკრებულოებში თავმჯდომარეების პოსტებს ითხოვს

გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“ მუნიციპალიტეტებში, სადაც ის გადამწყვეტი ხმის მქონე მანდატებით არის წარმოდგენილი, საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციაზე საკუთარ კანდიდატურებს დააყენებს.

შესაბამისი განცხადება პარტია „საქართველოსთვის“ პოლიტიკურმა მდივანმა კახა ქემოკლიძემ გუშინ, 22 ნოემბერს, ბრიფინგზე გააკეთა.

მისივე თქმით, ასეთ კონფიგურაციაში „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები იქნებიან.

– ჩვენ უარი ვთქვით საკრებულოებში თანამდებობებზე და შევთავაზეთ პირველ/მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შეთანხმების გზით, აერჩიათ საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები. ეს იყო შესაძლებლობა თითოეული ამ პარტიისთვის დამდგარიყო ვიწროპარტიულ ინტერესებზე მაღლა და ქვეყნის ინტერესები დაეყენებინა პირველ რიგში, რაც სამწუხაროდ ვერ მოახერხეს.

ამიტომ, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც პარტია „საქართველოსთვის“ წარმოდგენილია გადამწყვეტი ხმის მქონე მანდატებით, ჩვენ ვაყენებთ ჩვენს კანდიდატურებს საკრებულოს თავმჯდომარის პოზიციებზე. ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ ამ კონფიგურაციაში ორივე (როგორც „ოცნება“, ისე – ნაციონალური მოძრაობა), პირველ და მეორე ადგილზე გასული პარტიები დაუჭერენ ჩვენს კანდიდატებს მხარს და თავად ამ პარტიის წარმომადგენლები კი, იქნებიან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები.

აქვე, კიდევ ერთხელ უნდა გამოვეხმაუროთ იმ პროცესს, რომელიც „ოცნებამ“ უკვე დაიწყო თვითმმართველობებში – ეს არის „ოცნების“ მცდელობა, ერთპიროვნულად, ახალი საკრებულოების დამტკიცებამდე, არსებული საკრებულოების მეშვეობით დაამტკიცოს მუნიციპალური ბიუჯეტები.

ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს სწორედაც ახალი საკრებულოებისა და არა ერთპიროვნულად „ოცნების“ მიერ.

კიდევ ერთხელ მივმართავთ „ოცნებას“, არ გააგრძელოს პოლიტიკური თაღლითობა და არ გაბედოს მუნიციპალური ბიუჯეტების დამტკიცება ახალი საკრებულოების შეკრებამდე.

ცესკომ დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს ახალარჩეული მუნიციპალიტეტების საკრებულოების სხდომები, – განაცხადა კახა ქემოკლიძემ.

# რომან გოცირიძე: „თუ ონლაინ დაიხურება, ცოცხალ კაზინოებში ითამაშებენ“

– უნდა დავსვათ შეკითხვა: ვის ინტერესშია? ეს ვიღაცისთვის კეთდება. ამის შესახებ რომან გოცირიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „რეზიუმეში“ განაცხადა, რითაც ონლაინკაზინოების აკრძალვის იდეას გამოეხმაურა.

– უცხოეთში მართლაც არის რეგულაციები. ისლამურ ქვეყნებში აკრძალულია, ევროპაში დიდი გადასახადებია. საქართველო იმიტომ არის მიმზიდველი, რომ დაბალი რეგულაციები და გადასახადებია. კაზინოს შეუძლია გასცეს დიდი ბონუსები, ფულის გატანის შესაძლებლობა და კონფიდენციალურობა. არავინ გააკონტროლებს, შეგიძლია გადარიცხო ფული, სადაც გინდა. სწორედ ამიტომ, უცხოელები აქ თამაშობენ.

ჩვენმა მოქალაქეებმა კაზინოებიდან მილიარდ-ნახევარი ლარი გაიტანეს. უცხოეთში თუ ვინმემ თანხა გაიტანა, ეს უცხოელია, რომელიც თამაშობს. როდესაც ის წააგებს, ფული ქართულ კაზინოს დარჩება. მაგალითად, „თიბისი ბანკი“ და „საქართველოს ბანკი“ 80%-მდე არის უცხოელების მიერ დაფუძნებული. მათ უცხოელი მესაკუთრეები ჰყავთ, მაგრამ „თიბისი“ და „საქართველოს ბანკი“ ქართული ბანკები არ არის? მათი ყველა მეპატრონე უცხოელი რომ იყოს, ეს ბანკები საქართველოს იურიდიულ პირს წარმოადგენენ, აქ ქმნიან სამუშაო ადგილებს და იხდიან გადასახადებს, – განაცხადა გოცირიძემ.

როგორც მან აღნიშნა, ონლაინკაზინოების აკრძალვის შემთხვევაში მომხმარებელი ე.წ. ცოცხალი კაზინოთი ისარგებლებს.

# პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში იარაღი ამოიღო

## დაკავებულია 13 პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და სხვადასხვა რეგიონში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

უწყების ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დაკავებულია 13 პირი:

1985 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ბ.ქ., 1979 წელს დაბადებული ნ.მ., 1980 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევი გ.ვ., 1957 წელს დაბადებული ზ.ლ., 1991 წელს დაბადებული ა.გ., 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.ბ., 1966 წელს დაბადებული ზ.პ., 1994 წელს დაბადებული ლ.ა., 1960 წელს დაბადებული ზ.თ., 1976 წელს დაბადებული ი.ლ., 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.ს., 1993 წელს დაბადებული ა.ხ. და 1971 წელს დაბადებული ა.ჯ.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაში ნათქვამი, დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული ბ.ქ.-ის საცხოვრებელ სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია კალაშნიკოვის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 171 საბრძოლო ვაზნა.

კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ.ს. კასპის მუნიციპალიტეტში დააკავეს. პოლიციამ, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, „ტტ“-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 12 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ნ.მ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე, გადამოწმების მიზნით, ავტომანქანით გადაადგილების დროს შეაჩერეს. პოლიციამ, მისი პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „საიგას“ ფირმის ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 10 საბრძოლო ვაზნა.

რაც შეეხება 1980 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ გ.ვ.-ს, გურიის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, მის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ეფ-1“-ის ტიპის ხელყუმბარა და ამფეთქი ფალია.

წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი წარსულში ნასამართლევი,

1982 წელს დაბადებული ა.ბ.-ს დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „აკა-74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 2 საბრძოლო ვაზნა .

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ქალაქ თელავში, 1957 წელს დაბადებული ზ.ლ.-ის საცხოვრებელი სახლის, ეზოსა და ეზოში მდებარე დამხმარე სათავსოების ჩხრეკის შედეგად „ეფ 1“-ის ტიპის ხელყუმბარა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

კახეთის პოლიციის ყვარლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებული ა.ხ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „ეფ-1“ -ის ტიპის ხელყუმბარა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი, 1971 წელს დაბადებული ა. ჯ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 2 არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი – „ნაგანის“ ტიპის ცეცხლსასროლი პისტოლეტი და მცირეკალიბრიანი სანადირო შაშხანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ზ.თ.-ს საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას 1 ცალი ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის უზნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, 1966 წელს დაბადებული ზ.პ.-ის პირადი ჩხრეკისას, ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 17 ვაზნა ამოიღეს, ხოლო 1976 წელს დაბადებული ი.ლ.-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულია: „ტიგრისა“ და „ტოზის“ მოდელების შაშხანები, 5 მჭიდი, 61 საბრძოლო ვაზნა და აკუსტიკური პისტოლეტი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, 1991 წელს დაბადებული ა.გ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად, პისტოლეტი ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კიდევ ერთი დაკავებულის – 1994 წელს დაბადებული ლ.ა.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს სხვადასხვა ტიპის იარაღისთვის განკუთვნილი 193 საბრძოლო ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# სააკაშვილის განაჩენის გასაჯაროებაზე უარი სასამართლოში გაასაჩივრეს

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფმა მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენის გასაჯაროებაზე უარი სასამართლოში გაასაჩივრა.

ამის შესახებ ინფორმაციას დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი ავრცელებს.

მისივე ცნობით, 2021 წლის 15 ოქტომბერს, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა განცხადებით და მოითხოვა მიხეილ სააკაშვილის მიმართ 2018 წლის 5 იანვარს გამოტანილი განაჩენის გადმოცემა, რომლის მოწოდებაზეც პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით უარი ეთქვათ.

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფმა საჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული უარი არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის იმ ნორმების ნორმატიული შინაარსი, რომლებიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას. შესაბამისად, დღეისათვის არ არსებობს რაიმე ნორმა, რომელიც კრძალავს აღნიშნული გადაწყვეტილების სრული სახით გადმოცემას.

ხელისუფლების უარი კიდევ უფრო აბსურდულია იმის ფონზე, როდესაც ხელისუფლება მომეტებული საჯარო ინტერესის მოტივით თავისი ინიციატივით ასაჯაროებს პატიმარ სააკაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მოსახლეობას, სრული უფლება აქვს იცოდეს, თუ რისთვის იქნა მსჯავრდებული საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. შესაბამისად, იმედი გვაქვს სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს და საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიმართ გამოტანილი განაჩენი გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი.

დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი, მართლმსაჯულების სისტემის პროფესიონალებისგან (ადვოკატები, ყოფილი მოსამართლეები, სამართლის ექსპერტები) შემდგარი ჯგუფია, რომლის მიზანია საქართველოს სასამართლო სისტემის გაჯანსაღება საზოგადოებასთან დიალოგისა და ადვოკატირების გზით“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# 3 მილიონი ლარის ყალბი ანგარიშფაქტურების შექმნისთვის 1 პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების ფაქტზე, სასამართლო განჩინების საფუძველზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც იყო საქართველოში რეგისტრირებული 8 კომპანიის ფაქტობრივი მმართველი, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, 2019-2020 წლებში, მისი მართვის ქვეშ მყოფ კომპანიებს შორის გაწერა ჯამში 3 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამშენებლო-სარემონტო მომსახურების მიწოდების ამსახველი ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურები, რა გზითაც აღნიშნულ მეწარმე სუბიექტებს შეუქმნა დაახლოებით 500.000 ლარის ოდენობის დამატებული ღირებულების გადასახადის ე.წ. ფიქტიური აქტივი, რომლის ნაწილს – 157.435 ლარს იგი თაღლითურად დაეუფლა, ხოლო ნაწილი გამოიყენა კომპანიებზე რიცხული საგადასახადო ვალდებულებების დასაფარად.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი, 180-ე და 185-ე მუხლების მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

# შსს-მ საინფორმაციო კამპანიის „ნუ წაართმევ ბავშვობას“ დასკვნითი ღონისძიება გამართა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით, ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრისა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, ასევე, აღნიშნული დანაშაულის შესახებ სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინების მიზნით, საინფორმაციო კამპანიის, სახელწოდებით „ნუ წაართმევ ბავშვობას“ დასკვნითი ღონისძიება გამართა.

ღონისძიებას სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, სახალხო დამცველის აპარატისა და აღნიშნულ საკითხზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ოსაძემ, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლელა ბაქრაძემ და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის ხელმძღვანელმა ნინა ხატისკაცმა.

ღონისძიებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა წარადგინა პრეზენტაცია, რომლის მეშვეობითაც სტუმრებს მიეწოდათ ინფორმაცია კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების თაობაზე.

საინფორმაციო კამპანია ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, პარტნიორი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, თემატური შეხვედრები გამართეს თბილისსა და რეგიონებში, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან.

კამპანიის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ხასიათის რამდენიმე ვიდეორგოლი, რომელთა მთავარ გზავნილს წარმოადგენდა სხვადასხვა რელევანტური უწყების მხრიდან ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ სახელმწიფოს მკაცრი პოლიტიკის შენარჩუნებასა და უწყებებს შორის კოორდინირებულ მუშაობაზე ხაზგასმა.

ასევე, დაიბეჭდა მიზნობრივი ბუკლეტები და პოსტერები ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, რომლებიც კამპანიის მიმდინარეობისას მიეწოდათ სკოლის ადმინისტრაციულ წარმომადგენლობებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს/პირებს.

დასკვნით ღონისძიებაზე გამოვლინდნენ კამპანიის მიმდინარეობისას გამოცხადებული ფოტოკონკურსის გამარჯვებულები, რომელთაც ჯილდოები გადაეცათ. გარდა ამისა, გაიმართა თემატური ვიდეორგოლის პრეზენტაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“ განახორციელა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან პარტნიორობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. კამპანიას მხარს უჭერდნენ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი და არბაითერ – სამარიტერ – ბუნდი(ASB).

# 2021 წელს კონფისკაციას პირველი ჯგუფის 36.513 ერთეული მედიკამენტი დაექვემდებარა

2021 წლის პირველი იანვრიდან დღემდე უკანონო ფარმაცევტული საქმიანობის 84 ფაქტი გამოვლინდა, მათ შორის სამართალდარღვევა ერთი წლის განმავლობაში განმეორებით დაფიქსირდა 34 შემთხვევაში. საერთო ჯამში, კონფისკაციას დაექვემდებარა 36.513 ერთეული პირველ ჯგუფს მიკუთვნებული მედიკამენტი.

ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორის მოადგილე გიორგი გუნცაძე აღნიშნავს, რომ სააგენტოს თანამშრომლები, საკონტროლო შესყიდვებს ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ.

– სააგენტო ახდენს უკანონო ფარმაცევტული პროდუქტის ჩამორთმევას და დალუქვას. დარღვევასთან დაკავშირებით შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი კი ეგზავნება სასამართლოს, შემდგომი რეაგირებისთვის. ავტორიზებული აფთიაქის საქმიანობა ნებართვის გარეშე იწვევს დაჯარიმებას 8.000 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებითი სანქცია 16.000 ლარს შეადგენს. პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაციის წესის დარღვევა, პირველ ეტაპზე 6.000 ლარს ითვალისწინებს, განმეორებით კი – 12.000 ლარს. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ რეგულირების სააგენტო, უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ ადმინისტრაციული კუთხით. სისხლის სამართლის ტიპის დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში, მისი გადაგზავნა ხდება შესაბამის უწყებებში, – განმარტავს გიორგი გუნცაძე.

გარდა აფთიაქებისა, სანქცია ეკისრება ავტორიზებულ აფთიაქში მომუშავე ფარმაცევტსაც. იმ შემთხვევაში, თუ ფარმაცევტი უკანონოდ ახდენს მედიკამენტის რეალიზაციას, მას 3 წლით ეზღუდება მუშაობის უფლება და მისი განთავსება ხდება სამართალდამრღვევ პირთა რეესტრში. 2020 წელს, სამართალდამრღვევ პირთა რეესტრში განთავსდა 8 ფარმაცევტი, ხოლო 2021 წელს – 9.

# იტალიაში საქართველოს მოქალაქე დააკავეს



იტალიაში საქართველოს მოქალაქე ქურდობისა და ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

30 წლის მამაკაცი იტალიის პოლიციამ იმ დროს დააკავა, როდესაც ის შენობის ფასადზე დამონტაჟებულ ხარაჩოებზე იყო ამძვრალი.

იტალიური პრესა სხვადასხვა სტატიაში დაკავებულს „აკრობატად“ მოიხსენიებს. მას თანამზრახველიც ახლდა, რომელმაც დაკავების ოპერაციის დროს მიმალვა მოახერხა. რაც შეეხება დაკავებულს, ის ქვეყანაში არალეგალურად იმყოფებოდა.

# „ბორდიურიდან გადავარდა“

## ტყიბულში მდინარეში მამაკაცის ცხედარი იპოვეს



ტყიბულში, მდინარე ტყიბულაში, მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემთხვევის ადგილზე თვითმხილველებმა განუცხადეს, 70 წლამდე მამაკაცი სანაპიროს ბორდიურზე იჯდა, როდესაც მდინარეში გადავარდა.

ადგილზე სამაშველო სამსახურის ჯგუფები იყო მობილიზებული.

# დიმიტრი პესკოვი: „კიევი ძალების მობილიზებას თავად ახდენს“



კრემლის პრესსპიკერი დიმიტრი პესკოვი უარყოფს ინფორმაციას რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ თავდასხმის შესაძლო განხორციელების შესახებ და აცხადებს, რომ მოსკოვი თავად არის დეზინფორმაციული კამპანიის სამიზნე.

– ეს არის დაძაბულობის გაზრდა და კიდევ ერთი მცდელობა, წარმოაჩინონ რუსეთი, როგორც ის, ვინც საფრთხეს უქმნის სიტუაციის მოგვარების პროცესს აღმოსავლეთ უკრაინაში. რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ, რომ ეს არის აგრესიული ოცნებების გადაფარვა, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს კიევს. ვგულისხმობ აგრესიულ ოცნებებს სამხრეთ-აღმოსავლეთში პრობლემის ძალის გამოყენებით გადაჭრის სურვილზე, – აღნიშნა პესკოვმა.

პესკოვმა უკრაინა – პროვოკაციულ ქმედებებში, ნატოს ქვეყნები კი ამ პროვოკაციების ხელშეწყობაში დაადანაშაულა.

– რა თქმა უნდა, პროვოკაციების რიცხვი იზრდება და საგრძნობლად იზრდება, მით უმეტეს, ეს პროვოკაციები ხდება ნატოს ქვეყნების მიერ მოწოდებული იარაღით. კიევი თავად ახდენს საკუთარი ძალების მობილიზებას. მას ეხმარებიან ძალების გაძლიერებაში, კიევს მიეწოდება იარაღის მნიშვნელოვანი რაოდენობა, მათ შორის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური იარაღი. ჩვენ ამას დიდი განგაშით ვაკვირდებით, რადგან ვიცით რადიკალურად განწყობილი პოლიტიკოსების მნიშვნელოვანი გავლენა უკრაინაში, – განაცხადა პესკოვმა.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელმა კირილო ბუდანოვმა განაცხადა, რომ რუსეთს 92.000-ზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს თავმოყრილი უკრაინის საზღვრებთან და იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში უკრაინაზე თავდასხმისთვის ემზადება.

# ავსტრიაში სრული ლოკდაუნი ამოქმედდა

## სახლიდან მხოლოდ სამსახურში ან სურსათის მაღაზიაში გახვალთ



ავსტრიის მთელ ტერიტორიაზე 22 ნოემბრიდან სრული ლოკდაუნი ამოქმედდა.

შეზღუდვების ფარგლებში, მოქალაქეებს შინ დარჩენა ევალებათ. გამონაკლისი შეეხება მხოლოდ მათ, ვინც სახლიდან სამსახურში, საკვების საყიდლად ან სავარჯიშოდ წასასვლელად გავა.

ქვეყანაში დაიხურა რესტორნები, ბარები, საპარიკმახეროები და მაღაზიები, სადაც აუცილებელი საჭიროების პროდუქცია არ იყიდება.

შეზღუდვები 12 დეკემბრამდე გაგრძელდება, თუმცა ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ სიტუაციის შეფასება 10 დღის შემდეგ მოხდება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ევროპის რეგიონში კორონავირუსის შემთხვევების ზრდის გამო შეშფოთება გამოხატა. ჯანმო-ს ევროპის რეგიონული დირექტორის დოქტორ ჰანს კლუგეს განცხადებით, თუ ზომები არ გამკაცრდება, მომდევნო გაზაფხულზე, შესაძლოა, კიდევ ნახევარი მილიონი ადამიანი გარდაიცვალოს.

# აშშ-ში 2 ადამიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი კაილ რიტენჰაუზი გაამართლეს



აშშ-ში ნაფიცმა მსაჯულებმა 2020 წლის აგვისტოში 2 ადამიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი კაილ რიტენჰაუზი უდანაშაულოდ ცნეს.

2020 წელს უისკონსინის შტატის ქალაქ კენოშაში მასშტაბური საპროტესტო აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთ-ერთმა პოლიციელმა შავკანიანი მამაკაცი დაჭრა.

დემონსტრაცია არეულობაში გადაიზარდა, რომლის დროსაც აქტივისტების ნაწილმა ქალაქის სასამართლოს შენობაში შეჭრა ცადა.

კაილ რიტენჰაუზი, რომელიც მაშინ 17 წლის იყო, მოხალისეებს შეუერთდა, რათა ქალაქი არეულობის მომწყობთაგან დაეცვა. მან შეიარაღებულ თავდამსხმელებს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც 2 ადამიანი დაიღუპა, მე-3 კი დაშავდა.

ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებას გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი.

ბაიდენმა განაცხადა, რომ გაბრაზებულია და მსაჯულების გადაწყვეტილებას არ იზიარებს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



# ქალმა ახალი ლატარიის ბილეთით სცადა ბედი და გამდიდრდა




ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ პარკვილის მკვიდრმა ქალმა პირველად შეიძინა ახალი ლატარიის ბილეთი და ჯეკპოტი მოხსნა.

67 წლის ქალის თქმით, მაღაზიაში შესულმა გადაწყვიტა, პირველად შეეძინა მისთვის ახალი ლატარიის ბილეთი.

– ოდესღაც სხვა ლატარიას ვთამაშობდი, თუმცა არასოდეს მიცდია ამ ლატარიის ბილეთის შეძენა. ახლა კი ვიფიქრე, რომ დროა ვცადო, – განმარტა ქალმა.

ქალმა ლატარიის ბილეთი შვილს ჩააბარა, რომ არ დაეკარგა და გათამაშების შემდეგ მობილური დანართით შეამოწმა. ქალის შვილის მტკიცებით, რამდენჯერმე მოუხდა გათამაშების შედეგების გადამოწმება, რათა საკუთარი თვალებისთვის დაეჯერებინა.

– ტელეფონზე მიღებული შეტყობინების სკრინშოტი გადავაგზავნე და დავრეკე, – განაცხადა მამაკაცმა, ქალის შვილმა. ბილეთმა ქალს 50 ათასი დოლარის მოგება მოუტანა, რომელიც ქორწილის გადახდას და სასიამოვნო დასვენებას გეგმავს.

# ავსტრალიელი ქალი საკუთარ დღეგრძელობას ლუდს უმადლის



ავსტრალიელმა ბიდ გროკმა განაცხადა, რომ საკუთარ დღეგრძელობას, 107 წლამდე რომ იცოცხლა, ყოველდღიურ ჭიქა ლუდს უმადლის.

ქალი მრავალი წელია ქალაქ პერტის პროდუქტების მაღაზიაში დადის სასმელის შესაძენად. ის მარტო ცხოვრობს, დამოუკიდებლად გადაადგილებას ახერხებს და სახლის საქმეებსაც თავად ასრულებს.

– დედაჩემს სიცოცხლე და სიცილი უყვარს. უკვე 40 წელზე მეტია ყოველ ოთხშაბათს სპორტითაა დაკავებული, – გაამხილა ქალის კიდევ ერთი საიდუმლო მისმა შვილმა იან რობერტსონმა.

# ქალი შვილის ნაჩუქარმა ბილეთმა გაამდიდრა



ამერიკის მისურის შტატის კელოუეის ოლქის მკვიდრი ქალი იმის წყალობით გამდიდრდა, რომ შვილისგან საჩუქრად უბრალო ლატარიის ბილეთი მიიღო. საჩუქარმა მას 100 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

ქალის თქმით, მის შვილს უყვარს სათამაშო ავტომატები. მან დედას მომენტალური ლატარიის ბილეთი აჩუქა, რომელიც ბოულინგის და ბილიარდის ნარევს წარმოადგენს და ბურთულას ჭრილში მოხვედრას გულისხმობს. მოხვედრის შემთხვევაში, სირთულიდან გამომდინარე, სხვადასხვა ოდენობის ქულები ირიცხება.

ქალმა ბილეთის დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ პრიზი, 100 ათასი დოლარი მოიგო.

– თავდაპირველად მან არ დამიჯერა. ის ჩემი მოგებით მეტისმეტად აღელვებულია, – განაცხადა შვილის რეაქციაზე გათამაშების გამარჯვებულმა.

ქალი მოგებული თანხით შვილისთვის ახალი სატვირთო მანქანის ყიდვას და სამოგზაუროდ წასვლას გეგმავს.

# ორი წლის ბავშვი ალიგატორთან გართობას უვნებელი გადაურჩა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ჯექსონვილში ორი წლის ბავშვი შეშინებული მამის თვალწინ ალიგატორს ეთამაშა, რომელიც წყალსაწრეტ არხში იყო გაჭედილი.

ბიჭმა ცხოველი თხრილში შენიშნა და კუ ეგონა. ბავშვმა მასთან თამაში გადაწყვიტა, ალიგატორი კი იქიდან თავის დაღწევას ცდილობდა.

ბავშვის მამამ ჯო ბრენერმა სასწრაფოდ მოაშორა შვილი თხრილს, როგორც კი შენიშნა, რომ ის სახიფათო არსებას ეთამაშებოდა. ბრენერი გაოგნებული იყო, თუმცა მისმა დროულმა რეაქციამ სახიფათო შედეგი თავიდან აიცილა. ბავშვი უვნებელი გადარჩა.

მომხდარის თაობაზე სამაშველო სამსახურს აცნობეს, რომელიც ადგილზე მივიდა და რეპტილია გაათავისუფლა. ახლა ადგილობრივი ხელისუფლება იმის დადგენას ცდილობს, თუ როგორ აღმოჩნდა წყლის საწრეტ თხრილში ალიგატორი.

# მამაკაცი სიკვდილით დასჯას სასჯელის აღსრულებამდე რამდენიმე საათით ადრე გადაურჩა



ამერიკის ოკლაჰომის შტატში მამაკაცმა მოახერხა, თავიდან აეცილებინა სიკვდილით დასჯა იმის წყალობით, რომ შტატის გუბერნატორმა კევინ სტიტმა სასჯელის აღსრულებამდე რამდენიმე საათით ადრე მისი აღსრულების შეჩერების განკარგულება გასცა.

ჯულიუს ჯონსს სიკვდილი 1999 წელს ავტომობილის გატაცების დროს დაზღვევის მმართველის მკვლელობის გამო მიესაჯა. სასჯელის აღსრულებაში მოყვანამდე 11 საათით ადრე შტატის შეწყალებისა და პირობით ვადამდელი გათავისუფლების საბჭომ აუცილებლად მიიჩნია სასიკვდილო განაჩენის სიცოცხლის ბოლომდე პატიმრობით შეცვლა პირობით ვადამდელი გათავისუფლების გარეშე.

მამაკაცის ადვოკატმა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება მოიტანა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ის სახლში საკუთარ ოჯახთან იმყოფებოდა, რაც სასჯელის გამოტანის დროს ნაფიცი მსაჯულებისთვის უცნობი დარჩა, ვინაიდან მის ადვოკატებს მკვლელობის საქმის ბოლომდე გამოძიების საშუალება არ მიეცათ. ისინი შემდგომშიც აპირებენ ჯონსისთვის სიმართლის ბოლომდე დადგენას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# ესპანურ მედიაში შერმადინს უფრთხიან




2023 წლის საკალათბურთო მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ესპანეთი საქართველოს უმასპინძლებს. იქაური მედია ბოლო დროს ათამაშებულ გიორგი შერმადინს უფრთხის და ვარაუდობს, რომ ესპანეთის ნაკრებს გააწამებს.

ესპანური გამოცემები განსაკუთრებით შეშფოთებულნი არიან „შერმინატორის“ ბოლო მატჩით, სადაც ჩვენებურმა 25 ქულა და 10 მოხსნა გააკეთა.

„ელ მუნდომ“ ქართველ ცენტრს სტატია მიუძღვნა.

– გიორგი შერმადინს თამაში ჭაღარა შეერია, მალე 33 წლის გახდება, მაგრამ 5 წელია, ლიგა ენდესაში დომინირებს. ქომაგებს, რომლებიც თანამედროვე კალათბურთში მიმდინარე მოვლენებთან არცთუ ახლოს არიან, მისი დაფასება უჭირთ. 2019 წლის შემდეგ გიორგი ტენერიფეს გული და ლიგა ენდესას მოქმედი მვპ-ია. ქართველი კანარიელების შუქურაა, რომელიც დიად კალათბურთელებს იწვევს და მეტოქე გუნდის მწვრთნელებს ყველაზე მეტ თავსატეხს უჩენს. შერმადინი პიკ ენდ როლების ოსტატია, ნახევარკაუჭს შესანიშნავად იყენებს და, მიუხედავად იმისა, რომ ტელეეკრანებზე მისი მოძრაობები ნელი ჩანს, 3-წამიანში, უბრალოდ, ცეკვავს.

გიორგის რეპერტუარში 3-ქულიანი არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე მაღლებისთვის პერიმეტრიდან სროლა აუცილებელი რამაა, შერმადინს დიდი სამუშაოს შესრულება მოუხდა, რათა გრძელი კარიერა ჰქონოდა. გიორგი 20 წლისაც არ იყო, როცა პანათინაიკოსთან ერთად ევროლიგა მოიგო და იმავე ტიტულს ოლიმპიაკოსის რიგებშიც დაეუფლა, მაგრამ 2010 წლის შემდეგ საკუთარი ადგილის ძიებაშია. ამ დროში ბევრი კლუბი გამოიცვალა: ოლიმპია, კანტუ, მაკაბი, ოლიმპიაკოსი, სარაგოსა, ისევ ოლიმპიაკოსი, ისევ კანტუ, ანდორა, უნიკახა, ტენერიფე.

სეზონის სტარტზე შერმადინმა ზურგი დაიზიანა და ტენერიფეში განგაშის ზარმა შემოჰკრა. ცნობილი გახდა, რომ 5-6 კვირას გამოტოვებდა და კლუბმა მისი შემცვლელი დაიმატა. შერმადინი ნოემბრის დასაწყისში დაბრუნდა და რამდენიმე მატჩი დასჭირდა, რათა ადაპტაცია გაევლო, გასულ უქმეებზე გამართულ დერბიში კი საკუთარი თავი წარმოაჩინა. პარკეტზე გატარებულ არასრულ 23 წუთში მან 25 ქულა ჩააგდო, კალათისთვის არც ერთი ბურთი არ აუცილებია, 10 მოხსნა ჰქონდა და მის წინააღმდეგ 10-ჯერ დაჯარიმდნენ, მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი კი 41 გახლდათ. დიდი ხანია ტენერიფე სიურპრიზი და მოულოდნელობა აღარაა. ვიდორეტას გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტია და ამას სატურნირო ცხრილში არსებული მდგომარეობაც მოწმობს. კლუბს შესანიშნავი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, მარსელინიო უერტასსა და გიორგი შერმადინს კი შესანიშნავი ქიმია აქვთ. ეს უკანასკნელი მეტოქეებისთვის ნამდვილი კოშმარია და 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ესპანეთის ნაკრებს გააწამებს.

ესპანეთისა და საქართველოს მატჩი 29 ნოემბერს გაიმართება. მანამდე, 26 ნოემბერს, ჩვენი გუნდი უკრაინას დაუხვდება.

# სამტრედია გავარდა, ტორპედოს საბრძოლო აქვს

**ტორპედო-სამტრედია 4:1**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**



1:0 ცინცაძე (5პ), 1:1 გადრანი (13), 2:1 წოწონავა (30), 3:1 რეკიში (75), 4:1 ბუკასი (79)

**ტორპედო:** შოვნაძე, ინკუმი, მირცხულავა, მუდიმუ, ნადარაია, ცინცაძე (პარაგულოვი 67), კარაგუნისი, წოწონავა (ჩალაძე 67), რეკიში (ზიდანი 76), მახარობლიძე (მჭედლიძე 60), თ.ახვლედიანი (ბუკასი 76)

**სამტრედია:** ბ.ქურდაძე, მჭედლიშვილი (კამლაძე 83), გადრანი, გიორგაძე (ასათიანი 83), ახალაძე (ნადირაძე 83), ენდელაძე, პავიშიჩი, არაბიძე, რობაქიძე (კვირკვია 67), იოსელიანი (ო.კობახიძე 78), ლომთაძე

ეროვნული ლიგის 34-ე ტურის მატჩში ქუთაისში დიდი ანგარიში დაფიქსირდა. რიონისპირელებმა სამტრედიელებს უმასპინძლეს და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს, ხოლო მეზობლები ქვედა ლიგაში გაუშვეს.

ანგარიში 11-მეტრიანით მათე ცინცაძემ გახსნა, წონასწორობა კი პირველივე ტაიმში გიორგი გადრანმა აღადგინა. თუმცა ლევან წოწონავამ პირველ ტაიმში ისევ დააწინაურა ტორპედო, ხოლო შესვენების შემდეგ დმიტრი რეკიშმა და მეჰდი ბუკასმაც გაიტანეს.

სეზონის დასრულებამდე 2 ტურით ადრე ტორპედო, რომელიც 2 ქულით ჩამორჩება თელავს, მე-8 ადგილზეა და ინარჩუნებს ფლე აუტის გარეშე ეროვნულ ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსს. სამაგიეროდ, უძლიერესთა რიგებს გამოემშვიდობა სამტრედია, რომელიც უკვე 7 ქულით ჩამორჩა შუქურას და ყველანაირი შანსი დაკარგა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 34 | 20 | 11 | 3 | 68-25 | 71 |
| 2.დინამო (თბ) | 34 | 20 | 6 | 8 | 56-26 | 66 |
| 3.დილა | 34 | 17 | 9 | 8 | 45-30 | 60 |
| 4.ლოკომოტივი | 34 | 15 | 7 | 12 | 54-55 | 52 |
| 5.საბურთალო | 34 | 13 | 12 | 9 | 45-38 | 51 |
| 6.სამგურალი | 34 | 9 | 14 | 11 | 33-39 | 41 |
| 7.თელავი | 34 | 10 | 8 | 16 | 30-51 | 38 |
| 8.ტორპედო | 34 | 8 | 12 | 14 | 33-42 | 36 |
| 9.შუქურა | 34 | 5 | 12 | 17 | 26-45 | 27 |
| 10.სამტრედია | 34 | 5 | 5 | 24 | 32-71 | 20 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# თსუ და ქუთაისი ისევ იგებენ

### ბათუმი-თსუ 74:81
### (33:25, 20:8, 7:27, 14:21)

სუპერლიგის ერთ-ერთმა ლიდერმა თსუმ მე-6 ტურის მატჩი ბათუმში გამართა და დაძაბულ ბრძოლაში 81:74 გაიმარჯვა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა უნივერსიტეტელებმა ბრძოლისა და გაუტეხლობის კლასიკური მაგალითი აჩვენეს, როცა პირველი ნახევრის შემდეგ 20 ქულით ჩამორჩენილებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და მართებული ტაქტიკის, გონივრული თამაშისა და მაღალი შედეგიანობის წყალობით გამარჯვება მოიპოვეს.

ეს გახლდათ მატჩი, რომლის პირველი და მეორე ნახევარი დიამეტრულად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. პირველში მასპინძლებმა სტუმრებს შტურმი მოუწყვეს და 20:8 მოგებული მე-2 პერიოდის შემდეგ, დიდი შესვენებისთვის 20 ქულით – 53:33 დაწინაურდნენ.

მე-2 ნახევარი თსუ-ს კარნახით დაიწყო, რომლის მოთამაშეებმაც ისე დაჯაბნეს მეტოქე, რომ მესამე ათწუთეულის 27:7 მოუგეს. ბოლო მეოთხედის წინ ანგარიში თანაბარი იყო და ბათუმელები ბოლო წუთებამდე შანსს ინარჩუნებდნენ, თუმცა, როცა 20-ქულიან უპირატესობას გაანიავებს, იმ გუნდს მოგების მიზერული შანსი რჩება. ასეც მოხდა, თსუ-მ დასკვნით წუთებში მეტოქე ახლოს აღარ მიუშვა და მე-6 მატჩში მე-5 გამარჯვება მოიპოვა.

თსუ-ში 21 ქულითა და 6 პასით საუკეთესო იყო ლოველ ქაბილი. 19 ქულა რაილ ოუენსმა მიითვალა, ხოლო პაპ დიოპის ანგარიშზე 12 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა. ძალიან შედეგიანი იყო მიხეილ ბერიშვილი, რომელმაც 11 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი და 3 ჩაჭრა მიითვალა. ბათუმში 15 ქულითა და 8 მოხსნით საუკეთესო იყო სოსო გოგნაძე, ხოლო ბექა ბექაურმა 15 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა.

### ქუთაისი-მეგა 82:72
### (20:18, 18:13, 15:20, 29:21)

ჩემპიონატის ერთადერთმა დაუმარცხებელმა გუნდმა ქუთაისმა სუპერლიგის დებიუტანტ მეგას უმასპინძლა და 10 ქულის სხვაობით – 82:72 დაამარცხა.

მატჩი სტუმრების უპირატესობით დაიწყო, რომლებიც სადებიუტო წუთებში მცირედით ლიდერობდნენ. პერიოდის მიწურულს ქუთაისელებმა უპირატესობა და, შესაბამისად, ლიდერობა მოიპოვეს და ათწუთეული 20:18 მოიგეს. დიდ შესვენებამდე ქუთაისელებმა ზეწოლა გააძლიერეს და ლიდერობა 7 ქულამდე გაზარდეს. თუმცა მე-3 პერიოდიდან მეგამ თამაში გამოასწორა და ლეგიონერების წინამძღოლობით ჩამორჩენის გაბათილება დაიწყო. ერთ ეპიზოდში სტუმრებმა დაწინაურება მოახერხეს – 54:53. ეს ქუთაისელებისთვის განგაშის სიგნალი აღმოჩნდა, რომლებმაც ლიდერობა დაიბრუნეს და თამაშისთვის განკუთვნილ დროში უპირატესობას ზრდიდნენ.

საბოლოოდ შეხვედრა ისე დასრულდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. სუპერლიგის ლიდერმა დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა და ცხრილში პოზიციები გაიმყარა.

იმერულ კლუბს 18 ქულითა და 16 მოხსნით გიორგი კორსანტიამ ულიდერა. 13-13 ქულა ოთარ ფხაკაძემ და ნიკოლოზ სოსელიამ მოაგროვეს. აკაკი დვალიშვილი 11 ქულით, 7 მოხსნითა და 3 ჩაჭრით გამოირჩა. მეგაში 27 ქულითა და 10 მოხსნით საუკეთესო იყო დემონტე ფლანიგანი.

### ვეფხა-ცხუმი 91:86
### (20:23, 23:15, 25:25, 23:23)

დავით გასიტაშვილის გაწვრთნილმა ვერელებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს – 91:86 და ცხრილში ლიდერებს შეუერთდნენ.



ვერამ სეზონი მოგებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ 2 მარცხი განიცადა და აუტსაიდერებში აღმოჩნდა. გასიტაშვილის გუნდს კაპიტანი და ლიდერი ვახტანგ ქადარია ტრავმის შემდეგ რომ დაუბრუნდა, ვერელებმა ზედიზედ 3 მატჩი მოიგეს და ცხრილში მე-3 ადგილზე გამაგრდნენ.

ცხუმ-აფხაზეთს შემადგენლობაც სოლიდური ჰყავს და ამბიციებიც არ აკლია. 3 მოგებითა და 1 მარცხით ირაკლი ძიძიგურის გუნდი ლიდერთა შორის იყო და ვერასთან გამარჯვება პოზიციებს თავად გაუმყარებდა, მაგრამ მეტოქემ გამართულად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

ვერელებმა პირველი პერიოდი 3 ქულით დათმეს, თუმცა შემდეგ მთელი თამაშის განმავლობაში ლიდერობდნენ. დიდებულად ითამაშა ვახტანგ ქადარიამ, რომელმაც 21 ქულა მიითვალა. ქადარია საშუალოდ 22.8 ქულას აგროვებს, რაც ვეტერანი კალათბურთელისთვის სოლიდური შედეგია. ვერელთა შორის საუკეთესო შედეგი ზაკ ელიასმა დააფიქსირა, რომელმაც 25 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა. ცხუმ-აფხაზეთში 18 ქულით ლევან მასხულია გამოირჩა, ნიკა ჩეჩელაშვილმა და ლუკა მაზიაშვილმა შეხვედრა 13-13 ქულით დაასრულეს.

### რუსთავი-კაქტუსი 73:86
### (16:22, 20:23, 22:21, 15:20)

რუსთავში გასული სეზონის ჩემპიონმა კაქტუსს უმასპინძლა. ორივე გუნდს ცხრილში არასახარბიელო პოზიცია ეკავა – ორივეს თითო გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული და, შესაბამისად, 2 ქულის მოსაპოვებლად რუსთავიც მომართული იყო და კაქტუსიც.

ქვემოქართლელებმა სუპერლიგა 3 წაგებით დაიწყეს და პირველი გამარჯვება წინა ტურში, აუტსაიდერ მეგასთან მოიპოვეს. ანატოლი ბოისას გაწვრთნილ რუსთაველებს მე-2 გამარჯვების მოსაპოვებლად ხელსაყრელი მეტოქე შეხვდათ, მაგრამ ეს ამოცანა შინაურ არენაზე ვერ გადაჭრეს და ცხრილში ბოლო ადგილთან არიან.

მატჩი თავიდან თანაბრად მიმდინარეობდა, მაგრამ მეორე პერიოდიდან კაქტუსის ლეგიონერები ამოქმედდნენ. მათ ფეხი რევაზ როგავამაც აუწყო და სტუმრებმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს. მეორე ნახევარში სტუმართა ლიდერობამ 10 ქულას გადააჭარბა, მასპინძლებს კი თამაშის გადასარჩენად რესურსი არ აღმოაჩნდათ და შეხვედრა ისე დათმეს, მას დაძაბულობა არ დასტყობია. კაქტუსმა საბოლოოდ 86:73 მოიგო და სუპერლიგაში მე-2 გამარჯვება მოიპოვა.

კაქტუსელებს 19 ქულითა და 7 მოხსნით ჯორდან ფორბსმა ულიდერა. 16 ქულა და 6 მოხსნა ანდრე ფოქსმა მიითვალა, ხოლო რევაზ როგავას ანგარიშზე 15 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი დაგროვდა. მასპინძელთაგან 18 ქულითა და 8 მოხსნით საუკეთესო იყო ისმაილ ჰოლისი. 17 ქულა კრისტიან კილინგის ანგარიშზეა.

### დინამო-ტიტები 78:83
### (21:19, 17:22, 10:27, 30:15)

ოქტომბერში დუდუ დადიანის მემორიალის მომგებმა ტიტებმა სუპერლიგა მძიმედ დაიწყო. ბესო ლეჟავას გაწვრთნილმა გუნდმა საწყისი 4 მატჩიდან 3 წააგო და სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად საკუთარი კალიბრის მეტოქე ჰყავდა – 5 შეხვედრიდან 1 მოგების მქონე დინამო. ტიტების მოთამაშეებმა დიდებულად ჩატარებული მე-3 პერიოდის ხარჯზე სასურველი შედეგი დააფიქსირეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდი ლეჟავას გუნდმა 15 ქულით წააგო, საბოლოოდ გამარჯვება მაინც მას დარჩა. მეტ-ნაკლებად თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ, მესამე ათწუთეულში ტიტებმა 27:10 იმარჯვა, 20 ქულით გალიდერდა და მატჩის ბედიც ფაქტობრივად გადაწყვიტა. ბოლო მეოთხედში დინამოელებმა კი იძალეს და სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საბოლოოდ ლეჟავას გუნდმა 83:78 გაიმარჯვა და სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესა.

რაც შეეხება დინამოელებს, 6 ტურის შემდეგ ჟოლივეტ ტუჯანის გაწვრთნილ გუნდს მხოლოდ 1 გამარჯვება აქვს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.თსუ | 6 | 5 | 1 | 510-464 | 11 |
| 2.ქუთაისი | 5 | 5 | 0 | 486-392 | 10 |
| 3.ვერა | 6 | 4 | 2 | 512-545 | 10 |
| 4.ოლიმპი | 5 | 4 | 1 | 399-358 | 9 |
| 5.ცხუმი | 5 | 3 | 2 | 412-394 | 8 |
| 6.კაქტუსი | 6 | 2 | 4 | 459-486 | 8 |
| 7.მეგა | 6 | 2 | 4 | 460-494 | 8 |
| 8.ტიტები | 5 | 2 | 3 | 404-386 | 7 |
| 9.დინამო | 6 | 1 | 5 | 500-567 | 7 |
| 10.ბათუმი | 5 | 1 | 4 | 423-433 | 6 |
| 11.რუსთავი | 5 | 1 | 4 | 382-428 | 6 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

### 21 ნოემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ევერტონი ............ 3:0
ტოტენჰემი-ლიდსი ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 12 | 9 | 2 | 1 | 30-4 | 29 |
| 2.სიტი | 12 | 8 | 2 | 2 | 25-6 | 26 |
| 3.ლივერპული | 12 | 7 | 4 | 1 | 35-11 | 25 |
| 4.ვესტ ჰემი | 12 | 7 | 2 | 3 | 23-14 | 23 |
| 5.არსენალი | 12 | 6 | 2 | 4 | 13-17 | 20 |
| 6.ვულვზი | 12 | 6 | 1 | 5 | 12-12 | 19 |
| 7.ტოტენჰემი | 12 | 6 | 1 | 5 | 11-17 | 19 |
| 8.მანჩესტერი | 12 | 5 | 2 | 5 | 20-21 | 17 |
| 9.ბრაიტონი | 12 | 4 | 5 | 3 | 12-14 | 17 |
| 10.კრ.პალასი | 12 | 3 | 7 | 2 | 18-17 | 16 |
| 11.ევერტონი | 12 | 4 | 3 | 5 | 16-19 | 15 |
| 12.ლესტერი | 12 | 4 | 3 | 5 | 16-21 | 15 |
| 13.საუთჰემპტონი | 12 | 3 | 5 | 4 | 11-14 | 14 |
| 14.ბრენტფორდი | 12 | 3 | 4 | 5 | 16-17 | 13 |
| 15.უოტფორდი | 12 | 4 | 1 | 7 | 16-20 | 13 |
| 16.ასტონ ვილა | 12 | 4 | 1 | 7 | 16-20 | 13 |
| 17.ლიდსი | 12 | 2 | 5 | 5 | 12-20 | 11 |
| 18.ბარნლი | 12 | 1 | 6 | 5 | 14-20 | 9 |
| 19.ნორვიჩი | 12 | 2 | 2 | 8 | 7-27 | 8 |
| 20.ნიუკასლი | 12 | 0 | 6 | 6 | 15-27 | 6 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

დერბი-ბორნმუთი ............ 3:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-აინტრახტი ............ 0:2
მაინცი-კიოლნი ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 12 | 9 | 1 | 2 | 41-13 | 28 |
| 2.დორტმუნდი | 12 | 9 | 0 | 3 | 30-18 | 27 |
| 3.ფრაიბურგი | 12 | 6 | 4 | 2 | 18-11 | 22 |
| 4.ლევერკუზენი | 12 | 6 | 3 | 3 | 25-17 | 21 |
| 5.უნიონი | 12 | 5 | 5 | 2 | 19-17 | 20 |
| 6.ვოლფსბურგი | 12 | 6 | 2 | 4 | 14-14 | 20 |
| 7.ლაიფციგი | 12 | 5 | 3 | 4 | 23-13 | 18 |
| 8.მაინცი | 12 | 5 | 3 | 4 | 16-12 | 18 |
| 9.გლადბახი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-14 | 18 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 12 | 5 | 2 | 5 | 21-17 | 17 |
| 11.აინტრახტი | 12 | 3 | 6 | 3 | 14-16 | 15 |
| 12.კიოლნი | 12 | 3 | 6 | 3 | 18-21 | 15 |
| 13.ბოხუმი | 12 | 4 | 1 | 7 | 10-19 | 13 |
| 14.ჰერტა | 12 | 4 | 1 | 7 | 12-26 | 13 |
| 15.აუგსბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-21 | 12 |
| 16.შტუტგარტი | 12 | 2 | 4 | 6 | 16-22 | 10 |
| 17.არმინია | 12 | 1 | 6 | 5 | 9-18 | 9 |
| 18.ფიურტი | 12 | 0 | 1 | 11 | 8-33 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დინამო-ფორტუნა ............ 1:0
ინგოლშტადი-კარლსრუე ............ 1:1
ჰაიდენჰაიმი-კილი ............ 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-კადისი ............ 4:0
გრანადა-რეალი ............ 1:4
ელჩე-ბეტისი ............ 0:3
სოსიედადი-ვალენსია ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 13 | 9 | 3 | 1 | 32-14 | 30 |
| 2.სოსიედადი | 14 | 8 | 5 | 1 | 19-10 | 29 |
| 3.სევილია | 13 | 8 | 4 | 1 | 23-9 | 28 |
| 4.ატლეტიკო | 13 | 7 | 5 | 1 | 22-13 | 26 |
| 5.ბეტისი | 14 | 7 | 3 | 4 | 22-17 | 24 |
| 6.ბარსელონა | 13 | 5 | 5 | 3 | 20-15 | 20 |
| 7.რაიო | 13 | 6 | 2 | 5 | 19-14 | 20 |
| 8.ბილბაო | 13 | 4 | 7 | 2 | 11-8 | 19 |
| 9.ოსასუნა | 14 | 5 | 4 | 5 | 14-18 | 19 |
| 10.ვალენსია | 14 | 4 | 6 | 4 | 21-20 | 18 |
| 11.ესპანიოლი | 14 | 4 | 5 | 5 | 14-14 | 17 |
| 12.ვილიარეალი | 13 | 3 | 7 | 3 | 15-13 | 16 |
| 13.მალიორკა | 13 | 3 | 6 | 4 | 13-19 | 15 |
| 14.ალავესი | 13 | 4 | 2 | 7 | 10-17 | 14 |
| 15.სელტა | 14 | 3 | 4 | 7 | 14-18 | 13 |
| 16.კადისი | 14 | 2 | 6 | 6 | 12-23 | 12 |
| 17.გრანადა | 13 | 2 | 5 | 6 | 12-20 | 11 |
| 18.ელჩე | 14 | 2 | 5 | 7 | 11-20 | 11 |
| 19.ხეტაფე | 14 | 2 | 3 | 9 | 10-19 | 9 |
| 20.ლევანტე | 14 | 0 | 7 | 7 | 12-25 | 7 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კარტახენა-ბურგოსი ............ 1:0
ლუგო-ეიბარი ............ 2:2
ტენერიფე-ალკორკონი ............ 1:0
უესკა-იბიცა ............ 0:0
პონფერადინა-ხიხონი ............ 4:1

**იტალია. სერია ა**

სასუოლო-კალიარი ............ 2:2
ბოლონია-ვენეცია ............ 0:1
სალერნიტანა-სამპდორია ............ 0:2
ინტერი-ნაპოლი ............ 3:2
ჯენოა-რომა ............ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 13 | 10 | 2 | 1 | 26-7 | 32 |
| 2.მილანი | 13 | 10 | 2 | 1 | 29-15 | 32 |
| 3.ინტერი | 13 | 8 | 4 | 1 | 32-15 | 28 |
| 4.ატალანტა | 13 | 7 | 4 | 2 | 27-17 | 25 |
| 5.რომა | 13 | 7 | 1 | 5 | 23-15 | 22 |
| 6.იუვენტუსი | 13 | 6 | 3 | 4 | 18-15 | 21 |
| 7.ლაციო | 13 | 6 | 3 | 4 | 25-21 | 21 |
| 8.ფიორენტინა | 13 | 7 | 0 | 6 | 20-17 | 21 |
| 9.ბოლონია | 13 | 5 | 3 | 5 | 19-24 | 18 |
| 10.ვერონა | 12 | 4 | 4 | 4 | 25-21 | 16 |
| 11.ემპოლი | 12 | 5 | 1 | 6 | 18-23 | 16 |
| 12.სასუოლო | 13 | 4 | 3 | 6 | 19-20 | 15 |
| 13.ვენეცია | 13 | 4 | 3 | 6 | 12-19 | 15 |
| 14.ტორინო | 12 | 4 | 2 | 6 | 15-12 | 14 |
| 15.უდინეზე | 12 | 3 | 5 | 4 | 15-18 | 14 |
| 16.სამპდორია | 13 | 3 | 3 | 7 | 17-25 | 12 |
| 17.სპეცია | 13 | 3 | 2 | 8 | 15-31 | 11 |
| 18.ჯენოა | 13 | 1 | 6 | 6 | 17-26 | 9 |
| 19.კალიარი | 13 | 1 | 4 | 8 | 15-28 | 7 |
| 20.სალერნიტანა | 13 | 2 | 1 | 10 | 10-28 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

პარმა-კოზენცა ............ 1:1
რეჯინა-კრემონეზე ............ 1:2
მონცა-კომო ............ 3:2
პიზა-ბენევენტო ............ 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ბრესტი-ლანსი ............ 4:0
ანჟე-ლორიანი ............ 1:0
მეცი-ბორდო ............ 3:3
სტრასბურგი-რეიმსი ............ 1:1
ტრუა-სტ.ეტიენი ............ 0:1
კლერმონი-ნიცა ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 12 | 1 | 1 | 32-14 | 37 |
| 2.ნიცა | 14 | 8 | 3 | 3 | 25-11 | 26 |
| 3.რენი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-12 | 25 |
| 4.ლანსი | 14 | 7 | 3 | 4 | 25-18 | 24 |
| 5.ანჟე | 14 | 5 | 6 | 3 | 20-16 | 21 |
| 6.მარსელი | 13 | 6 | 5 | 2 | 20-12 | 23 |
| 7.მონაკო | 14 | 5 | 4 | 5 | 19-18 | 19 |
| 8.სტრასბურგი | 14 | 5 | 4 | 5 | 25-19 | 19 |
| 9.ლიონი | 13 | 5 | 4 | 4 | 21-21 | 19 |
| 10.მონპელიე | 14 | 5 | 4 | 5 | 21-21 | 19 |
| 11.ნანტი | 14 | 5 | 3 | 6 | 19-19 | 18 |
| 12.ლილი | 14 | 4 | 5 | 5 | 18-21 | 17 |
| 13.ბრესტი | 14 | 3 | 6 | 5 | 20-21 | 15 |
| 14.ლორიანი | 14 | 3 | 6 | 5 | 13-21 | 15 |
| 15.რეიმსი | 14 | 2 | 7 | 5 | 15-18 | 13 |
| 16.ტრუა | 14 | 3 | 4 | 7 | 13-22 | 13 |
| 17.ბორდო | 14 | 2 | 7 | 5 | 21-30 | 13 |
| 18.კლერმონი | 14 | 3 | 4 | 7 | 17-28 | 13 |
| 19.სტ.ეტიენი | 13 | 1 | 6 | 6 | 15-28 | 9 |
| 20.მეცი | 14 | 1 | 6 | 7 | 16-30 | 9 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

იგლზი-გრონინგენი ............ 0:1
ფეიენოორდი-ზვოლე ............ 4:0
ჰერენვენი-ტილბურგი ............ 2:1
ვალვაიკი-აიაქსი ............ 0:5
კამბური-უტრეხტი ............ 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

როსტოვი-უფა ............ 2:2
ცსკა-ხიმკი ............ 0:0
დინამო-არსენალი ............ 5:1
სოჭი-რუბინი ............ 1:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-კორტრაიკი ............ 1:1
სტ.ტრუიდენი-ანტვერპენი ............ 2:1
ოსტენდე-სენ ჟილუა ............ 1:7
ბეერსხოტი-გენკი ............ 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

კლაგენფურტი-აუსტრია ............ 0:0

ტიროლი-ვოლფსბერგერი ............ 5:1
შტურმი-ლინცერი ............ 3:3

**შოტლანდია. თასი**

რეინჯერსი-ჰიბერნიანი ............ 1:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ქარაგუმრუქი ............ 1:3
ალთაი-ადანა ............ 1:3
ქონია-რიზე ............ 3:0
გალათასარაი-ფენერბახჩე ............ 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-აპოლონი ............ 1:0
აეკი-ოლიმპიაკოსი ............ 2:3
ატრომიტოსი-პაოკი ............ 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ლოზანა ............ 0:1
ლუგანო-ლუცერნი ............ 3:1
სერვეტი-გრასჰოპერსი ............ 3:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

კარვინა-ლიბერეცი ............ 1:2
სლოვაცკო-სპარტა ............ 4:0
ტეპლიცე-პარდუბიცე ............ 1:2
სლავია-იაბლონეცი ............ 5:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ნეცეჩა-ლეჩნა ............ 1:1
პოგონი-სლასკი ............ 2:1
გურნიკი-ლეგია ............ 3:2

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

ფერენცვაროში-ფეჰერვარი ............ 3:0
ჰონვედი-მტკ ............ 3:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მინაი-ინგულეცი ............ 2:2
ვორსკლა-მარიუპოლი ............ 5:1
დესნა-კოლოსი ............ 0:1

**კოლოსის გოლი**
**ნიკა სიჭინავამ გაიტანა**

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-სილკებორგი ............ 1:1
რანდერსი-ვეილე ............ 4:1
კოპენჰაგენი-ორხუსი ............ 1:1
მიდტიულანდი-ბრონდბიუ ............ 1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

დეგერფორსი-ჰამარბი ............ 1:4
ჰალმშტადი-ელფსბორგი ............ 0:1
ვარბერგი-აიკი ............ 0:1
სირიუსი-გიოტებორგი ............ 3:3

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოდო გლიმტი-ლილესტრიომი ............ 2:0
ვალერენგა-ტრომსო ............ 1:1
სანდერფიორდი-ბრანი ............ 2:2
სარპსბორგი-ოდ გრელანდი ............ 1:1
სტაბეკი-კრისტიანსუნდი ............ 3:0
მიოლდე-რუსენბორგი ............ 4:1

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჰორიზონტალური კუთხეების გასაზომი გეოდეზიური ხელსაწყო; 2. მსხვილი მემამულე, ბატონის სახელწოდება ძველად; 3. უნივერსიტეტი ინგლისში; 4. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 8. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 9. დოკუმენტის ასლი, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს; 11. კოსმოსში გაგზავნილი ქართული სიმღერა; 12. ტბა თბილისში; 14. აზრი, ჩანაფიქრი; 16. სისხლის უწვრილესი სადინარი; 17. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 19. ტროპიკული ხილი; 21. შხამიანი გველი.

**თარაზულად:** 5. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 6. სავაჭრო საქმიანობა; 7. ქართველი პოეტი ქალი; 10. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 13. დიდი, მოხრილი დანა; 15. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი; 18. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 22. ჩქარტემპიანი სამეჯლისო წყვილთა ცეკვა; 23. წინსვლა, აღმავლობა; 24. უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ღალატი; 2. კირხე; 3. ფეიხოა; 4. რეკეტი; 6. სალიამი; 9. მერლო; 11. მასტიფი; 15. განდაგანა; 16. კეხურა; 17. მუკუზანი; 19. აჯამეთი; 21. ბეზმენი; 22. მარიცა.

**თარაზულად:** 5. ლაგოდეხი; 7. აპალაჩი; 8. სკლერა; 10. კეტჩერი; 12. ტესტი; 13. ალაზა; 14. პილიგრიმი; 18. პეტრა; 20. სეგუნი; 23. ბაწარა; 24. ზილი; 25. ჩაროზი; 26. ცინი; 27. ანანური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მეტელი; 2. გრეგორი; 3. ტალახაძე; 4. მუშტაიდი; 8. ბურდუხანი; 9. მარმელადი; 11. სპეტაკი; 12. გეტა; 14. არვე; 16. შენგელია; 17. ფოლკლორი; 19. კომუნა; 21. რიეკა.

**თარაზულად:** 5. გასტრიტი; 6. დელაკრუა; 7. კალვადოსი; 10. კაბუკი; 13. ტირადა; 15. სტატორი; 18. ლეგატი; 20. პუდელი; 22. ეჩმიაძინი; 23. სიტროენი; 24. ეკვადორი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1134

ევრო — 3.5135

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1841

100 რუსული რუბლი — 4.1938

## ამინდის პროგნოზი 23 ნოემბრისათვის




## დიბალამ ტრავმა ბოლომდე მოიშუშა



ტურინის იუვენტუსის ფორვარდმა პაულო დიბალამ ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და ის მზად არის, სამშაბათს მოედანზე გამოვიდეს, როდესაც იუვენტუსი ჩემპიონთა ლიგაში ჩელსის დაუპირისპირდება. ეს შეხვედრა ტურინელებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია და, შესაძლოა, ამ ფაქტორის გამო დიბალა მოედანზე არ გამოვიდეს.

დიბალამ ტრავმა სეზონის დასაწყისში მიიღო და წლევანდელ სეზონში მას თითქმის არ უთამაშია.

## პედრი ჯერ სათამაშოდ მზად არ არის



ბარსელონის ნახევარმცველი პედრი ჯერ სათამაშოდ მზად არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისთვის მას უკვე ტრავმა უნდა მოეშუშებინა. უცნობია, თუ რამ გამოიწვია გართულება, მაგრამ პედრი მოედანზე მხოლოდ დეკემბერში დაბრუნდება.

აღსანიშნავია, რომ მისი არყოფნა ბარსელონას ძალიან დაეტყო, რადგან პედრი ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერია.

## პოჩეტინო, შესაძლოა, მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელი გახდეს

მანჩესტერ იუნაიტედი ახალ მწვრთნელს ეძებს და ერთ-ერთი მთავარი კანდიდატურა მაურისიო პოჩეტინოა, რომელიც პსჟ-ში კმაყოფილი არ არის და გუნდის დატოვება სურს.

თუ მხარეები შეთანხმდნენ, შესაძლოა, უახლოეს მომავალში პოჩეტინო ოლდ ტრაფორდზე ვიხილოთ, მანამდე კი იუნაიტედს დროებით კერიკი უხელმძღვანელებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მანეკენმა ცოლის თანხმობით კიდევ ცხრა ქალზე იქორწინა



ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში დაქორწინებულმა მანეკენმა არტურ ო,ურსომ ცოლის თანხმობით კიდევ ცხრა ქალზე იქორწინა და ის თავისუფალ სიყვარულს მიუძღვნა.

რამდენიმე გოგონასთან დაქორწინების საკითხი მამაკაცმა თავის პირველ მეუღლე ლუანა კაზაკისთან განიხილა. თაფლობის თვეს წყვილი საფრანგეთის ქალაქ კაპ-დ,აგში გაემგზავრა და რომელშიც ნებისმიერ ადგილას დედიშობილა გამოჩენა ნებადართულია, ეს იქნება ქუჩა, რესტორანი და ბარი, ბანკი და პოლიციის განყოფილებაც კი. მაშინ შიშველი წყვილის ფოტოსურათები სოციალურ ქსელებში ელვის სისწრაფით გავრცელდა და დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

მონოგამიის მოწინააღმდეგე სვინგერი წყვილი ნუდიზმით გატაცებას არც მალავს და ევროპაში მოგზაურობას გეგმავს ისეთი ადგილების საპოვნელად, სადაც დედიშობილა ყოფნა დასაშვებია.

ცოლ-ქმარმა აღნიშნა, რომ ო,ურსოს კიდევ ცხრა გოგონასთან დაქორწინება წარმოადგენს პროტესტს მონოგამიის წინააღმდეგ და პატივის მიგებას თავისუფალი ურთიერთობებისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 23 ნოემბრისათვის

**ვერძი** — ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **კურო** — იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** — ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კირჩხიბი** — მამაკაცების საყურადღებოდ — იკვებეთ სწორად. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე, მოთმინება და სულგრძელობა დღის დევიზია. **ლომი** — დაძაბულობა და გადაღლა ნერვულ სტრესამდე და ავადმყოფობამდე მიგიყვანთ. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **ქალწული** — სიფრთხილე გმართებთ, განსაკუთრებით — მძღოლებს. საქმიან პარტნიორებთან პატარა გაუგებრობაა მოსალოდნელი. **სასწორი** — ენერგეტიკული პოტენციალი დაქვეითებულია. მაქსიმალურად ეცადეთ, გარშემომყოფებთან კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. **ღრიანკალი** — ნებისმიერ საკითხს გონივრულად მიუდექით. საქმე აუჩქარებლად და დაკვირვებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** — სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **თხის რქა** — დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება. **მერწყული** — ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** — დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მამაკაცი საავადმყოფოში კითხულობს:

— რა ღირს, ძამა, აქანე ფილტვების სურათი?

— ჩვეულებრივი გნებავთ?

— არა, ძამა, ზღვის ფონზე და მაიმუნით მხარზე.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— გუშინ ჩემი სიდედრი გველების გამოფენაზე იყო წასული...

— მერე?

— ოქროს მედლით დაბრუნდა.

•••

კლიენტი გამყიდველს ეკითხება:

— რა ღირს შენი კარაქი?

— 18 ლარი.

— რა ამბავია, მაგ ფასად გიტარას ვიყიდი!

— მერე, პურზე გადაუსვამ?

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

— დედაკაცო, ღამით რო დავწვებით, ღვინო რო მამინდება, გამაღვიძე.

— უიმე, მე როგორ უნდა გავიგო, შენ ღვინო როდის მოგინდება?

— შენ მე გამაღვიძე და ღვინო ყოველთვის მინდება!

•••

მამაკაცი შეუხედავ ქალს ეკითხება:

— ცხენების გეშინია?

— არა.

— და იმათ შენი?

•••

ქმარი ცოლს ეკითხება:

— ქალო, სადაა ჩაქუჩი? ლურსმანი უნდა დავაჭედო.

— ჩაქუჩი კარადაშია, ბინტი, იოდი და სპირტი კი — „ტუმბოჩკაში“...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „მასტერშეფმა“ ფინალისტები დაასახელა




„მასტერშეფმა“ ნახევარფინალისტებიდან ორი კონკურსანტი, მერი ბარაბაძე და თამარ ოსაძე, სახლში გაუშვა. შოუს ჟიურიმ ფინალისტები დაასახელა. ქვეყნის საუკეთესო მზარეულის ტიტულისთვის იბრძოლებენ დიმიტრი რჩეულიშვილი, მარიკა კოპალიანი და რუსო დაუშვილი.

მომდევნო კვირას „მასტერშეფის“ მეექვსე სეზონის დიდი ფინალი გაიმართება, სადაც სამზარეულოში სამი კონკურსანტი შეფების დავალებების მიხედვით საუკეთესო კერძების მომზადებას ეცდება.

„მასტერშეფის“ გამარჯვებული საჩუქრად, პროექტის მთავარი პრიზისა და ქვეყნის საუკეთესო მზარეულის ტიტულის გარდა, ბინასაც მიიღებს.

## თემურ ჩხეიძე 78 წლის გახდა



რეჟისორი თემურ ჩხეიძე 78 წლის გახდა. დაბადების დღე პანდემიის გამო ხელოვანმა ოჯახის წევრების გარემოცვაში მოკრძალებულად აღნიშნა.

ათასობით მილოცვას თემურ ჩხეიძემ ასე უპასუხა:

— დიდ მადლობას გიხდით ასეთი ყურადღებისთვის. კეთილი სიტყვა გვაძლიერებს, სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს და ალბათ დამეთანხმებით, სიკეთესაც ამრავლებს. ყველას ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და სულის მხნეობას გისურვებთ.

## ალექსანდრე ზაზარაშვილი ამერიკული „ნიჭიერის“ ფინალში ოქროს ღილაკით გავიდა



ქართველი მომღერალი ალექსანდრე ზაზარაშვილი, რომელმაც უკრაინული საბავშვო „ვოისი“ მოიგო, ამჯერად ამერიკული შტატის, კონექტიკუტის „ნიჭიერში“ მონაწილეობს. ალექსანდრემ პროექტის პირველ ტურში ჟიურისგან ოქროს ღილაკი დაიმსახურა და პირდაპირ ფინალში გავიდა.

„ნიჭიერის“ ფინალი 18 დეკემბერს გაიმართება.

**ალექსანდრე ზაზარაშვილი:**

— კონექტიკუტის „ნიჭიერში“ ჟიურისგან ოქროს ღილაკი მივიღე, რაც იმას ნიშნავს, რომ 18 დეკემბერს იქნება უდიდესი ბრძოლა ამ სცენაზე გამარჯვებისათვის. ჩემი ძალებით ყველაფერს გავაკეთებ, რომ ღირსეულად წარვდგე, მაგრამ თქვენი უდიდესი თანადგომა იქნება საჭირო და ხმის მიცემები!

მიყვარხართ ყველა, ვინც მგულშემატკივრობდით, უდიდეს ძალას მაძლევდით და განსაკუთრებით, აი, ეს ადამიანები, რომლებმაც დაანგრიეს დარბაზი ჩემი სახელის ყვირილით! მადლობა ყველას და უფალს, რომ ასეთი ლამაზი დღე მაჩუქა.

ამის გარდა, ყველაზე მეტად რამაც გამაოცა, იყო ის, რომ ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანებიც დარბაზში, როდესაც სიმღერა დავამთავრე, ყვიროდნენ — ჩვენ გვიყვარხარ, ალექს! და იმხელა სტიმული მომეცა, რომ ვერ აღვწერ. უმაგრესი დღე იყო, მაგრამ უკეთესი გველოდება წინ! გამარჯვებისკენ!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ქალმა დამსაქმებელს შეყვარებულის მოსახიბლად ათასობით ფუნტი მოჰპარა



დიდი ბრიტანეთის ქალაქ ლივერპულში 47 წლის სტეფანი ლონგმა დამსაქმებელს 214 ათასი ფუნტი სტერლინგი მოპარა იმის მცდელობაში, რომ საყვარელი მამაკაცი ფუფუნებით ცხოვრებით მოეხიბლა და შედეგად კი სამი წლით და ოთხი თვით ციხეში ამოყო თავი.

ლონგი შესყიდვების მენეჯერად მუშაობდა კომპანიაში, რომელიც ნარჩენების გადამუშავების გადაწყვეტილებების სფეროში საქმიანობდა. მის მოვალეობაში შედიოდა კონტრაქტორების მომსახურების ანაზღაურება და ანგარიშის მართვა. კომპანიის კუთვნილი თანხის ნაწილს ქალი თავისთვის იტოვებდა და ოთხი წლის განმავლობაში მან 214 ათასი ფუნტი სტერლინგის მოპარვა მოახერხა.

ქალმა აღიარა, რომ ფულის მოპარვა იმისთვის გადაწყვიტა, რომ თავის პარტნიორ მამაკაცზე შთაბეჭდილება მოეხდინა. მას ასეთი სახით სურდა მისი სიყვარულის „ყიდვა“. ქალის თქმით, მამაკაცი მას პატივს არ სცემდა და ყოველმხრივ ამცირებდა. ამიტომ გადაწყვიტა, მამაკაცისთვის საკუთარი მნიშვნელობა ძვირფასი ნივთების შეძენით და მდიდრულ სასტუმროებში დასვენებით დაემტკიცებინა.

ლონგის თაღლითობა მაშინ გამოვლინდა, როდესაც კომპანიამ ანგარიშების მართვის ახალ სისტემაზე გადასვლა გადაწყვიტა. ქურდობამ კომპანიის რეპუტაცია შეარყია კონტრაქტორების თვალში და აიძულა, სერიოზული თანხა დაეხარჯა დანაშაულის გამოსასწორებლად.

სასამართლომ ქალს სამი წლით და ოთხი თვით პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლოს გადაწყვეტილების მოსმენის შემდეგ ლონგმა განაცხადა, რომ მას შეგნებული ჰქონდა, პატიმრობას თავიდან ვერ აირიდებდა და ამიტომ ადრევე დაგეგმა, რომ შეეცდება თავიდან მოიშოროს ყველა მავნე ჩვევა, მათ შორის ალკოჰოლით გატაცებაც.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ძველებური სასადილო, სავაჭრო ობიექტი; 2. ოქროს ან ვერცხლის ძაფი; 3. საქვეყნო საქმისთვის გაწეული სასარგებლო შრომა, ამაგი; 4. შავი ფერის მელას ძველი ქართული სახელწოდება; 6. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 9. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 11. ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 15. წყალქვეშა ნავის ძველებური სახელწოდება; 16. აეროპორტი პეკინში; 17. უბანი სოხუმში; 19. სპეციალური დანიშნულების მატარებელი; 21. უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ რომში; 22. ქართული სადაზღვევო კომპანია.

**თარაზულად:** 5. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 7. რაიონული ცენტრი მესხეთში; 8. ბულგარეთის ძველი დედაქალაქი; 10. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 12. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 13. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 14. საეკლესიო წესით ქორწინება; 18. ათქვეფილი კვერცხის ცილისგან მომზადებული კულინარიული ნაწარმი; 20. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 23. მდინარე პრაღაში; 24. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 25. სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში; 26. მემკვიდრეობითობის მატარებელი ჰორმონი ცოცხალ ორგანიზმში; 27. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

